ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 24 აგვისტო, 2020 №178 (8442) ფასი: 60 თეთრი

საშინელება შატილის გზაზე

გვ.2

ავტობუსი კლდეში გადაიჩეხა. 12 კაცი დაიღუპა

„კახა ოქრიაშვილის „ოცნებიდან“ წასვლა ნიშნავს, რომ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია“



გვ.3

მეგი გოცირიძე: „ენზელ მკოიანს დაჭერით დაემუქრნენ“

„არჩევნებზე ხალხი ირიბად პრემიერსაც ირჩევს“

მურმან დუმბაძე: „ოპოზიციის შეთანხმება გიორგი ვაშაძემ დაარღვია“

გვ.3

ვახტანგ მაისაია: „რუსეთი ბელარუსსა და საქართველოზე პარალელურად მუშაობს“

გვ.4

თენგიზ ცერცვაძე: „ეკატერინე ტიკარაძე ცრუობს“

დაპირისპირება გრძელდება

გვ.2

სამეგრელოს პოლიციამ სენაკში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა



გვ.5

დაკავებულია 1 პირი

ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოების ნაწილი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებთან ფარულ შეხვედრას აპროტესტებს, ნაწილისთვის კი ეს მისაღებია

გვ.4

ISSN 1987-9385

2 „ქართულმა ოცნებამ“ მერობის კანდიდატები წარადგინა

5 მირიან ნიკოლაძეს განაჩენი გამოუტანეს
ვინ ემუქრება შაქარაშვილის ბიძას ლიკვიდაციით

5 29 წლის ლასი აბუთიძე 19 წლის ბიჭებმა ცემით მოკლეს

6 რუსული ეკლესია ბელარუსი სასულიერო პირის წინააღმდეგ

მაია ცქიტიშვილი: „გახარიას გადასარჩენი არაფერი სჭირს“

– გახარიას გადასარჩენი არაფერი სჭირს, – ასე უპასუხა ვიცეპრემიერმა მაია ცქიტიშვილმა ჟურნალისტების კითხვას, როგორ შეაფასებს ოპოზიციის განცხადებებს, რომლის მიხედვითაც ე.წ. მუქარის წერილზე პროკურატურის განცხადებიდან გამომდინარე „ქართული ოცნება“ გიორგი გახარიას გადარჩენას ცდილობს.

მაია ცქიტიშვილის თქმით, თავიდანვე ნათელი იყო, რომ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ე.წ. მუქარის წერილთან კავშირი არ ჰქონდა.

– ჩვენ პირველივე დღიდან ვამბობდით, რომ ამ წერილს არანაირი კავშირი არ ჰქონდა გახარიასთან. ნამდვილად მინდა, კომენტარის სახით გავაკეთო, რომ გადასარჩენიც გახარიას არაფერი სჭირს, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

21 აგვისტოს გენერალურმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა. პროკურატურის ინფორმაციით, პროკურატურამ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ განხორციელებული შესაძლო იძულების ფაქტზე დანიშნული დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა მიიღო.

როგორც პროკურატურის ინფორმაციაშია ნათქვამი, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წერილზე არსებული თითის ანაბეჭდები საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას არ ეკუთვნის.

„2019 წლის 4 მარტს მამუკა ხაზარაძემ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა განცხადება, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრისაგან გიორგი გახარიასაგან მუქარის შემცველი წერილი მიიღო. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გაკეთებული განცხადების ირგვლივ 2019 წლის 6 მარტს მამუკა ხაზარაძე თბილისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაიკითხა, რა დროსაც მან გამოძიებას მხოლოდ ზემოხსენებული წერილის ასლი წარუდგინა, ვინაიდან, ხაზარაძის განცხადებით, დედანი ექსპერტიზის ჩატარების მიზნით დიდ ბრიტანეთში იყო გაგზავნილი.

წერილის დედანი საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოგვიანებით, 2019 წლის 21 ოქტომბერს, ბრიტანული კერძო კომპანიის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის მასალებთან ერთად გადაეცა. გამოძიების მსვლელობისას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ ჩატარდა შემხვედრი დაქტილოსკოპიური ექსპერტიზები, რა დროსაც მოხდა წარმოდგენილ წერილზე არსებული თითის ანაბეჭდის კვლებისა და მათი ვარგისიანობის იდენტიფიცირება, ასევე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა“ და ბრიტანული კერძო კომპანიის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების შედარება, რაც სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასაგან მოხდა დაქტილოსკოპიური კვლევისათვის საჭირო საკონტროლო ნიმუშების აღება, რომლებიც წერილზე იდენტიფიცირებულ თითის კვლების ნიმუშებს შედარდა.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წერილზე არსებული თითის კვლები არ ეკუთვნის საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას.

გვსურს, საზოგადოებას დამატებით ვაცნობოთ, რომ წერილზე თითის კვლების დამტოვებელი პირის იდენტიფიცირებისა და მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიერ გაკეთებული განცხადების შესწავლის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას, გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოებას ეცნობება დამატებით“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თენგიზ ცერცვაძე: „ეკატერინე ტიკარაძე ცრუობს“

დაპირისპირება გრძელდება

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი თენგიზ ცერცვაძე განცხადებას ავრცელებს. მისი თქმით, ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ 20 აგვისტოდან პაციენტების ნაწილის მიღების შეჩერების თაობაზე ინფორმირებული არ იყო.

„რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თითქოს ჯანდაცვის მინისტრი არ იყო ინფორმირებული ცენტრში არსებული სიტუაციისა და 20 აგვისტოდან პაციენტების ნაწილის მიღების შეჩერების თაობაზე, ესეც სრული სიცრუეა.

მარტო ბოლო ორი თვის მანძილზე ჩვენ სამინისტროს, სულ ცოტა, ათჯერ მაინც მივმართეთ წერილობით ცენტრში არსებულ კრიტიკულ სიტუაციაზე და მათი მხრიდან გადაუდებელი დახმარების აუცილებლობაზე, მათ შორის გრიფით „სოს“ და „სასწრაფოდ“, არაერთგზის მივმართეთ პირადადაც, მაგრამ უშედეგოდ. პასუხი სრული იგნორი იყო.

თუ სამინისტრო გააგრძელებს ამ ფაქტის უარყოფას, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ყველა ამ წერილის გასაჯაროება. აგრეთვე მზად ვართ, შევხვდეთ ჯანდაცვის მინისტრს ნებისმიერ ფორმატში, რათა გავარკვიოთ სიმართლე“, – წერია ცერცვაძის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში ნათქვამია ისიც, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მარტივად შეეძლო ცენტრისთვის გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარება ყოველგვარი დივიდენდის გარეშეც.

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი მასმედიით ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ჯანდაცვის სამინისტროსაც ადანაშაულებს.

ცერცვაძე უარყოფს ინფორმაციას, რომ „ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრს“ ნებართვა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოებისთვის საკუთარი დივიდენდის გამოყენებაზე თებერვალში ჰქონდა მიღებული. აღნიშნავს იმასაც, რომ ნებართვა ეკონომიკის სამინისტროსგან ცენტრმა მხოლოდ 21 აგვისტოს, უკვე პაციენტების მიღების შეჩერების შემდეგ მიიღო.

„ცენტრის მიერ პაციენტების მიღების შეწყვეტაზე პასუხისმგებლობა ჩვენ გვეკისრება?! და არა ჯანდაცვის სამინისტროს?! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს არის სრული სიცრუე და თავის მართლების მორიგი უსუსური მცდელობა.

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ასეთი ნებართვა ეკონომიკის სამინისტროსგან ცენტრმა მიიღო მხოლოდ ა.წ. 21 აგვისტოს, უკვე პაციენტების მიღების შეჩერების შემდეგ და მანამდე არც ეკონომიკის, არც ჯანდაცვის სამინისტროებიდან და არც ნებისმიერი სხვა სამთავრობო სტრუქტურიდან არავითარი, ვიმეორებ, არავითარი ნებართვა დივიდენდის გამოყენების უფლებაზე არ გვქონია. თორემ, ეს რომ გვქონოდა, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამუშაოებს ხომ ჩავატარებდით“, – ნათქვამია თენგიზ ცერცვაძის განცხადებაში.

20 აგვისტოს ინფექციურმა საავადმყოფომ პაციენტების მიღებაზე უარი თქვა. თენგიზ ცერცვაძემ იმავე დღეს საჯაროდ განაცხადა, რომ კლინიკას აღარ აქვს კოვიდ 19-ისა და აივ ინფიცირებული პაციენტების მომსახურების რესურსი. საავადმყოფოს ხელმძღვანელი ასევე ამტკიცებს, რომ კრიზისის შესახებ დიდი ხნის წინ აცნობა ჯანდაცვის უწყებას და რეაგირებაც სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ.

ამ განცხადებას ეკონომიკის სამინისტრო 21 აგვისტოს გამოეხმაურა.

განცხადებაში ეწერა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ინფექციურ საავადმყოფოს უფლება მიეცა, გადაუდებელი სამუშაოების დროს 300 ათასი ლარი გამოიყენოს.

ხახალეიშვილი, ანანიძე, ლურსმანაშვილი

„ქართულმა ოცნებამ“ მერობის კანდიდატები წარადგინა

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭო განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, რამდენიმე საარჩევნო ოლქში თვითმმართველი ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირთა, ასევე, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები იმართება. „ქართული ოცნებამ“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე კანდიდატებზე შეჯერება მოახდინა.

პარტიის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„საზოგადოებას მოეხსენება, რომ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, რამდენიმე საარჩევნო ოლქში თვითმმართველი ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირთა, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები იმართება.

დღეს გაიმართა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს სხდომა, რომელზეც შემდეგ კანდიდატებზე მოხდა შეჯერება:

ქუთაისში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატია იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე – იოსებ ხახალეიშვილი;

თერჯოლის მერობის კანდიდატი, თერჯოლის მერის მოვალეობის შემსრულებელი – ლაშა გოგიაშვილი;

ხარაგაულის მერობის კანდიდატად წარდგენილია კობა ლურსმანაშვილი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი;

ონის მერობის კანდიდატი – დავით ჩიკვაიძე, ონის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

კასპის მერობის კანდიდატი – ვახტანგ მაისურაძე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი;

თბილისის საკრებულოს კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი – კრწანისის გამგებელი ლევან ჯაფარიძე;

ბათუმში უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ტიტე არაშიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

ქობულეთში უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ცოტნე ანანიძე;

ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილია ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მოქმედი მერი“.

კახა ოქრიაშვილი: „ოპოზიციურ პარტიებს შევხვდი, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას“

მაჟორიტარი დეპუტატი, პარტია „პროგრესი და თავისუფლების“ ლიდერი კახა ოქრიაშვილი აცხადებს, რომ რამდენიმე პარტიასთან, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობასა და გაერთიანებასთან „ძალა ერთობაშია“ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

დეპუტატმა კომენტარი გააკეთა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოსთან დაკავშირებით, სადაც ვანო მერაბიშვილთან ერთად არის გადაღებული.

ამასთან, ფოტოზე, რომელიც „ფეისბუქში“ 21 აგვისტოს გავრცელდა წარწერით – „დღევანდელი შეხვედრა“, ჩანან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი დიმიტრი შაშკინი და სხვა პირები.

– ჩვენ პარტია „პროგრესი და თავისუფლება“ ჩამოვაყალიბეთ. გასულ კვირაში შეხვედრებს ვმართავდი ოპოზიციურ პარტიებთან. თითქმის ყველა ოპოზიციურ პარტიას შევხვდი, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას, „ძალა ერთობაშიას“. საუბარია იმაზე, რომ საერთო კანდიდატი ვიყო და სხვა პარტიებმა კონკურენტები არ დამიყენონ, რომ „ოცნების“ კანდიდატი პირველსავე ტურში დავამარცხო.

შეხვედრა მქონდა დაახლოებით შვიდ პარტიასთან. მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელებული ვიქნები დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ბოლნისის სამაჟორიტარო ოლქში პარტია „პროგრესი და თავისუფლებისგან“ და აგრეთვე ვიქნები ამ პარტიის პროპორციულ სიაში პირველი ნომერი, – აღნიშნა კახა ოქრიაშვილმა.

მისივე თქმით, პარტიებთან კონსულტაციები გრძელდება.

– ჯერ დაპირებები არ არის, მოგვიანებით იქნება ცნობილი, – განაცხადა კახა ოქრიაშვილმა.

საშინელება შატილის გზაზე

ავტობუსი კლდეში გადაიჩეხა. 12 კაცი დაიღუპა

გუშინ, 23 აგვისტოს, შატილის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიკროავტობუსი 80 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა, რის შედეგადაც 12 მოქალაქე დაიღუპა, 3 კი მძიმედ დაშავდა.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბისოს სიახლოვეს, შატილის გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც მიკროავტობუსი გადავარდა კლდოვან ფერდობზე, დაახლოებით 80 მეტრის სიმაღლიდან.

შეტყობინების მიღებისთანავე ადგილზე დაუყოვნებლივ მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შესაბამისი დანაყოფის მობილიზება. ადგილზე იმყოფებოდნენ საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა ჯგუფები და სამაშველო ტექნიკა. \ ასევე, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფები.

სამაშველო სამუშაოები უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით ჩატარდა. სამაშველო ჯგუფები, რთული რელიეფური და მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, სამაშველო ოპერაციას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდნენ.

პირველადი ინფორმაციით, მიკროავტობუსში მყოფი 12 მოქალაქე დაიღუპა, 3 კი მძიმედ დაშავდა. დაშავებულები მაშველებმა უსაფრთხო ტერიტორიაზე ამოიყვანეს. ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. გრძელდება ტრანსპორტში მყოფი სხვა პირების ძებნისა და ამოყვანის სამუშაოები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მიკროავტობუსით, რომელიც სიმაღლიდან გადავარდა, მგზავრები კომპანია „თრეველერ.ჯი“-ს გადაჰყავდა.

„კურიერთან“ საუბრისას დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ბარისახოში მზექალა არაბული ამბობს, რომ ავარიის მიზეზი გაჩერებული სატვირთო ავტომანქანა გახდა, რომელსაც მიკროავტობუსი შეეჯახა და გადაიჩეხა.

– მანქანას არის დაჯახებული და გადავარდა ხევში. მეორე მანქანა არ გადავარდნილა. მარშუტკა გადავარდა. 12 ადამიანის ცხედარია ნაპოვნი, როგორც ამბობს სამაშველო, – განაცხადა არაბულმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კახა ოქრიაშვილის „ოცნებიდან“ წასვლა ნიშნავს, რომ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია“

მეგი გოცირიძე: „ენზელ მკოიანს დაჭერით დაემუქრნენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი მეგი გოცირიძე პასუხობს.

– რატომ გადაწყდა, რომ ისანში ნაციონალებს ჰყავდეთ კანდიდატი? რატომ გაუჩნდათ ამის პრეტენზია?

– ჯერ ერთი, პრეტენზია გამოთქვესო, ასე არ არის. არავის საკუთრება არ არის არც ერთი ოლქი. ერთიანობის მაგიდა და „ძალა ერთობაშია“ მაგიდა ააყირავა გიორგი ვაშაძემ. მან დატოვა ეს. ნაციონალურ მოძრაობას კი არ დაუტოვებია. ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ იყო ეს მაგიდა გაერთიანებული. თავიდანვე შიდა ამბები რომ იყო, მაშინ თქვა ნაციონალურმა მოძრაობამ, კი ბატონო, მე ორ ოლქში დავაყენებ კანდიდატურას, დანარჩენი თქვენ გადაწყვიტეთო.

სამი თვე თავი ვერ მოაბეს. სამი თვე ვერ ჩამოყალიბდნენ, ვის კანდიდატურას დააყენებდნენ და საერთოდ რა კონფიგურაცია იქნებოდა. ნაციონალური მოძრაობა დაელოდა, მერე ვაშაძემაც რომ უკვე ხელი ჰკრა ამ ერთობას, ადგა და მესამე ოლქშიც აყენებს კანდიდატურას. აბა, როგორ?! ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიაა! თბილისი მოიგო ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატმა და ამ პარტიამ ორი მაჟორიტარობის მეტი კანდიდატი არსად არ დააყენა, თქვენ დანარჩენებზე შეთანხმდითო.

– თუმცა ვერ შეთანხმდნენ.

– ვერა. ჯერ ხომ იხვეწებოდა სააკაშვილი, ერთიანი სია გავაკეთოთო და გიორგი ვაშაძემ 10 კაცი ჩამიწერეთო. დიდი ბოდიში, მაგრამ 10 კაცი ვაშაძეს, მერე 5-5 კაცი თითოკაციან პარტიებს მოუნდათ და უკაცრავად, რა! ნაციონალურ მოძრაობას უნდა დაეწერა სია, სადაც ნაციონალები არ იქნებოდნენ!

– ამიტომ ვერ შედგა ერთიანი სია, რომ მადა გაეხსნათ?

– ძალიან სასაცილო იყო ეს ყველაფერი. სიას ჩვენ ვადგენდით და ასე მარტივი არ არის რა, ვიღაცა ჩაწერო, შევიდეს პარლამენტში, მერე სხვასთან გადახტეს, როგორც სჩვევიათ რწყილებივით ხტუნაობა.

– ანუ ვაშაძეს აბრალებთ, რომ მან ააყირავა მაგიდა?

– რა თქმა უნდა, ეს ხომ ფაქტია! წავიდა და დააყენა თავისი კანდიდატურა ცალკე.

– ვაშაძე აცხადებს, მაინც ვთანამშრომლობ ოპოზიციურ ერთობასთანო.

– ეს რას ნიშნავს. ეს ტყუილია! თაკო ჩარკვიანმა ცალკე დააყენა საკუთარი კანდიდატურა საბურთალოზე, გიორგი ვაშაძემ – ცალკე და... მე მაპატიეთ და 3-4%-იან პარტიებს თუ აქვთ იმის პრეტენზია, რომ თვითონ დადგნენ კანდიდატებად, დიდი ბოდიში, მაგრამ ასე არ გამოვა!

– ვინ იქნება ნაცმოძრაობის კანდიდატი ისანში, სალომე სამადაშვილი თუ ხატია დეკანოიძე?

– თვითონ იტყვიან, დაველოდოთ. სალომე სამადაშვილზე მსგავსი არაფერი მსმენია.

– მაშინ, ხატია დეკანოიძე. ასეა?

– შესაბამისად, ასე გამოდის.

– სადაც ნაცმოძრაობას არ დაუყენებია საკუთარი კანდიდატები, თბილისსა თუ რეგიონებში, იქ ოპოზიციის წარმომადგენლებს მხარს არ დაუჭერთ?

– არ ვიცი, ლიდერები რას გადაწყვეტენ. მე ხომ არ ვარ ამ პარტიის ლიდერი. მე რიგითი აქტივისტი ვარ. იმას არ ვამბობ, რომ არ ვიცი, რა ხდება პარტიაში, თუმცა გადაწყვეტილებებს ისინი მიიღებენ.

– მეგი, ისანში კანდიდატურის დაყენება ხომ არ ცვლის სიტუაციას და სხვა ოლქებშიც ხომ არ დააყენებთ თბილისის მასშტაბით კანდიდატებს?

– რატომ გახდა ისანი ასეთი სალაპარაკო და გადამწყვეტი?! რატომ საბურთალოზე არ არის ასეთი აქცენტი? იქ გაცილებით მეტი ოპოზიციური კანდიდატია. ვაშაძე არ არის ასეთი ყურადღებამისაქცევი ფიგურა. კი გაიძახის, მე უნდა ვიყო პრემიერიო, მაგრამ ეგრეც არ არის, რა. ყველამ ვიცით, რა მხარდაჭერაც აქვს.

– ახალქალაქში საკმაოდ დაძაბული სიტუაციაა. თქვენ ამ რეგიონს კარგად იცნობთ. პირდაპირ კრიმინალური გარჩევები მიმდინარეობს. რას იტყვით ენზელ მკოიანის შესახებ?

– მანდ ორი ამბავია. მე გეტყვით, რაც ხდება. დიდი ამბები და გარჩევები იყო „ქართული ოცნების“ შიდა კულუარებში. ენზელ მკოიანი სინდისის ძარღვის გარეშეა, მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, მოქალაქეთა კავშირს დაიწერს პლაკატზე, ხუთიანს თუ 41-ს. მას რომ ჰქონდეს ნაციონალებისგან თანხმობა, დიდი სიხარულით გამოვა 5-იანით არჩევნებზე. მას ნამუსის ძარღვი ხომ არა აქვს. 20 წელია, პარლამენტში შია, თან ყოველთვის თავის ფულს ხარჯავს, იმიტომ, რომ ბევრი აქვს. მას სრული კარტბლანში ჰქონდა, რაც უნდოდა, ის ეკეთებინა, მთავარი იყო, რომ „ოცნებისთვის“ ხმები მოეტანა. ყველაფრის უფლება ჰქონდა. ჰქონდა და აკეთებდა!

– ახლა რა ხდება?

– ბოლო პერიოდში ძალიან ოდიოზური გახდა. სულ ოდიოზური იყო, მაგრამ ახლა ყველას თვალში ძალიან დისკრედიტებული გახდა. ამ რეგიონში ჩვეულებრივი ფეოდალია. ნინოწმინდაში მიწა არ არის თავისუფალი. ამხელა მიწებია და სულ მაგისია. ბენზინგასამართი სადგურები, მაღაზიები, სააფთიაქო ქსელი – აბსოლუტურად ყველაფერი მისია.

პატარა ბიძინაა! ძალიან მარტივად ახერხებდა „ოცნებისთვის“ ხმების ყიდვას. თვითონ მოჰყავდა ყველა უბანზე ხალხი და პირდაპირ საარჩევნო უბნის წინ აძლევდა ფულს. ამ ბოლო დროს რადგან ასე მიეწყო ერთმანეთს მისი კრიმინალური გამოხდომები, უთხრეს, ფიზიკურად არ გამოვა მაგ რეგიონში შენი მაჟორიტარობა, უკვე საელჩოებში დაიგზავნა, როგორ დარბიხარ იარაღითო.

– ანუ „ოცნება“ იშორებს?

– ამბავი არის ასეთი, პირდაპირ შეუთვალა ივანი შვილმა, მორჩი ახლა და „ოცნების“ ხმებზე იმუშავე! შენ არ იქნები მაჟორიტარი, მაგრამ ჩვენთვის უნდა მოიტანო ხმები. ენზელ მკოიანმა კი უთხრა, თუ მე არ ვიქნები მაჟორიტარი, ვერ მოვახერხებ თქვენთვის ხმების მოტანასო.

ამის შემდეგ გაუგზავნეს კომპრომატები და უთხრეს, მორჩა, შენზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებაო. მკოიანმაც იცის, რომ ნამდვილად გამკეთებლები არიან. ესენი ხომ თავისიანებს ასე უკეთებენ, ჯერ მიუშვებენ საბალახოდ, მერე კომპრომატებს აუფრიალებენ და იჭერენ.

მკოიანმაც არ დააყოვნა და დაიწყო ყვირილი, 5 მილიონს მძალავენო, წავიდა, საელჩოებს მიმართა, რადგან იცის, რომ მასზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. დადის ახლა საელჩოებში და პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს, ვითომ დევნილია. თუმცა მიიღო უარი! პოლიტიკური დევნილის სტატუსი უნდა, თუმცა ესენი არ უშვებენ. ქვეყნის დატოვება უნდა და „ოცნება“ აღარ უშვებს, მორჩა. დაჭერილი ჰყავთ ყურებით.

ყველას ეს მოელის. ბიძინა შულერთან შეიძლება საქმის დაჭერა?!

– ტოვებენ „ოცნებას“ ფულიანებიო. ასეა?

– რა თქმა უნდა, ასეა. გადახედეთ, რა ხდება. ვისაც კი ფული ჰქონდა, ყველა ბიზნესმენი ღიად მოდის და სად მოდიან? ეს ძნელი გასარკვევი არ არის.

– და ნაციონალებიც ისევ კარს უღებენო. ესეც მართალია?

– მოდით, პირდაპირ გეტყვით, ბუნებაში ყოფილი ნაციონალი არ არსებობს! ქოცობაც და ნაციონალობაც არის მენტალიტეტი. ეს ერთი. მეორეც, როცა ქვეყანა თავზე გემხობა, ბიზნესი ჩვეულებრივად გაგიჩერეს და მარტო კარფური მუშაობს, ძალიან დიდი ბოდიში, რაა... კარს ვუღებთ, რას ჰქვია?! ყველას თავისი ხალხი ჰყავს უკან. ეს ხომ უნდა გავითვალისწინოთ. ისინი მარტო არ მოდიან.

– დამთავრდება „ოცნება“ ამ არჩევნებზე?

– ერთ რამეს გეტყვით: ოქრიაშვილი, რომელსაც ძალიან განვითარებული ყნოსვა აქვს, რომ ტოვებს იქაურობას, ეს მართლა ნიშნავს, რომ დამთავრდა. ენზელა, ოქრიაშვილი და აღარ გავყვები... კიდევ ბევრი სიურპრიზი იქნება.

მე იმას არ ვამბობ, რომ ფულით მაგათ ვინმე შეეჯიბრება. პატარა ვაშაძესაც ძალიან ბევრი ფული აქვს და ხაზარაძესაც, მაგრამ ეს ხალხი აღარ გაიყიდება. ყველა და ყველაფერი არ იყიდება! ვეღარც შანტაჟი გაუვათ და აქვე მინდა მივმართო თამარ ჟვანიას, გაეშვას საზღვარგარეთ მაიმუნობას!

თამარა ჟვანია, გაფრთხილებ, შენ იქნები ერთ-ერთი პირველი, ვინც ჩაჯდება ციხეში! შენ ხარ მომპარავი, ხმების ქურდი და გაფრთხილებ, ემიგრანტებს თავი დაანებე! მიეცი საშუალება, რომ გამოხატონ თავიანთი კეთილი ნება!

„არჩევნებზე ხალხი ირიბად პრემიერსაც ირჩევს“

მურმან დუმბაძე: „ოპოზიციის შეთანხმება გიორგი ვაშაძემ დაარღვია“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ამერიკის ელჩმა პლურალისტულ და მრავალპარტიულ პარლამენტზე ისაუბრა. რა გზავნილი ამოიკითხეთ, რომ შეიძლება, შემდეგი მთავრობა კოალიციური იყოს?

– რა თქმა უნდა, შემდეგი მთავრობა აუცილებლად იქნება კოალიციური. ამერიკის ძირითადი გზავნილია, რომ მშვიდობიან გარემოში, თავისუფლად და დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს არჩევნები.

– ოპოზიციაში მიმდინარე პროცესები რამდენად ჯანსაღია? გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ შეიძლება დაარღვიოს შეთანხმება და მას კონკურენტი დაუყენოს ისანში. შეიძლება, შეთანხმება დაირღვეს?

– ამ შემთხვევაში შეთანხმება პრაქტიკულად დარღვეულია. დარღვეულია თავად გიორგი ვაშაძის მხრიდან, მან დატოვა გაერთიანებული ოპოზიცია – „ძალა ერთობაშია“. პრაქტიკულად პრინციპი დარღვეულია, ამიტომ აცხადებს ნაციონალური მოძრაობა, რომ ამ შემთხვევაში მასაც შეუძლია, იმოქმედოს, ისე როგორც საჭიროდ მიიჩნევს.

– ისანში ნაციონალური მოძრაობა თავის კანდიდატურას დააყენებს?

– სიმართლე გითხრათ, რომც დააყენოს, არ გამიკვირდება და, რომც არ დააყენოს, ესეც არ გამიკვირდება. ნაციონალურ მოძრაობაში გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთულია. პოლიტიკური საბჭო 120 ადამიანისგან შედგება. ნიკა მელია, გრიგოლ ვაშაძე ან მიხეილ სააკაშვილი წყვეტენ ყველაფერს, ეს ნამდვილად არ არის ასე. თუ პოლიტსაბჭო გადაწყვეტს, რომ ისანში კანდიდატურა დააყენოს, მას წინ ვერავინ აღუდგება. მე ვიცნობ კარგად ამ სტრუქტურას და ამიტომ ვამბობ.



– ხატია დეკანოიძეზე იყო საუბარი. შეიძლება, ისნის კანდიდატი გახდეს?

– როგორც საბჭო გადაწყვეტს, ისე იქნება. ხატია დეკანოიძე გამწევი ძალაა და მისი ამბიციები დაკმაყოფილებული უნდა იყოს. ხატია დეკანოიძე 30-ვე ოლქში ერთსა და იმავე შედეგს დადებს, იქნება ეს ისანში თუ სამეგრელოში. ხმები რომ არ დაიკარგოს ოპოზიციურ ფლანგზე, ჩვენ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების დაყენებით ოპოზიციური ხმების მობილიზებას ვახდენთ. ამიტომ ყველა რეგიონში უნდა დააყენოს კანდიდატურა. საფიქრალია ისანსა და საბურთალოზე.

– ნიკა მელიამ განაცხადა, საბურთალოზე კანდიდატს არ ვაყენებთო.

– დიახ, ეს კარგი განცხადებაა, მაგრამ, არა მგონია, საბოლოო იყოს. თუ პოლიტიკურმა საბჭომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაშინ ასე იქნება, თუ არა, მაშინ მხოლოდ ნიკა მელია ვერ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას.

თავის დროზე თბილისის 8 ოლქიდან მხოლოდ ორ ოლქში კანდიდატის დაყენება არ იყო ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა შიგნით ამ იდეას.

– გიორგი ვაშაძე „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში შესვლას გამორიცხავს. რას იტყვით, გჯერათ?

– ამაში დარწმუნებული ვარ. დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი ვაშაძე „ქართულ ოცნებას“ მხარს არ დაუჭერს.

– მხარდაჭერაზე არა, კოალიციაზეა საუბარი.

– დიახ, მე მჯერა, რომ გიორგი ვაშაძეც და თაკო ჩარკვიანიც ოპოზიციაა.

– ბატონო მურმან, გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ პრემიერობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი იქნება?

– მე ღია, საჯარო პოლიტიკის მომხრე ვარ ყოველგვარი კულუარების გარეშე. რადგან ყველა პარტია უკვე ფიქრობს ამაზე და საუბრობს, რაც სრულიად მისაღები და გასაგებია, ჩვენც უნდა ვიფიქროთ ამაზე.

– გიორგი ვაშაძის გარდა, ვინმემ ღიად გამოთქვა ეს სურვილი?

– დიახ, მაგალითად, შალვა ნათელაშვილმა, ნინო ბურჯანაძემ თქვეს, რომ ისინი საკუთარ თავს განიხილავენ პრემიერის თანამდებობაზე. ამას ამბობს გიორგი ვაშაძეც. ნაციონალურმა მოძრაობამაც უნდა დააყენოს თავისი კანდიდატურა და ეს უნდა იყოს მიხეილ სააკაშვილი. ის უდავო ფავორიტია ნაციონალურ მოძრაობაში და ამის უარყოფა შეუძლებელია. ნაციონალური მოძრაობის ელექტორალურ მხარდაჭერაში მისი წილი ძალიან დიდია. ის 53 წლის ასაკში საუკეთესო პოლიტიკურ ფორმაშია. მე მჯერა, რომ მისი შეცდომების მიზეზი ახალგაზრდობა და გამოუცდელობა იყო.

კოალიციური მთავრობა რომ იქნება, ამას სისტემა უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია, ახლავე შევთანხმდეთ ალგორითმზე, წესზე, თუ როგორ ავირჩევთ პრემიერს. მე ვთავაზობ პოლიტიკურ სპექტრს, რომ ყველაზე ძლიერი პარტიის კანდიდატს დაუჭირონ სხვებმა მხარი. მე ვფიქრობ, რომ სამი პარტია იქნება საჭირო კოალიციის შესაქმნელად. აქედან თუ ერთს ექნება 40%, დანარჩენებს – 10% და მასზე ნაკლები, ცხადია, პრემიერი უნდა გახდეს იმ პარტიიდან, რომელსაც ყველაზე მეტი მხარდაჭერა აქვს.

არჩევნებამდე ყველა პარტიამ უნდა დაასახელოს თავისი პრემიერობის კანდიდატი და არჩევნებზე მოქალაქეები საარჩევნო ურნასთან ამ გადაწყვეტილებასაც მიიღებენ. ირიბად ისინი პრემიერსაც აირჩევენ.

ფოთში 23 წლის თამაზ გრატიაშვილმა თავის მოკვლა ცადა

ფოთში 23 წლის თამაზ გრატიაშვილმა პროტესტის ნიშნად თვითმკვლელობა ცადა. მისი თქმით, ამ ფორმას მიმართა, რადგან ფოთის პოლიციის მაღალჩინოსანი დავით ოდიშარია მასზე ფსიქოლოგიურად ძალადობს.

– ეს გავაკეთე ფოთის პოლიციის უფროსის მოადგილის დავით ოდიშარიას იძულებით, იმიტომ, რომ ის ორი თვეა, მაყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, სასამართლოში შევუტანე მას ცემის ფაქტთან დაკავშირებით (სარჩელი), გადმოდის შეტევაზე, შეურაცხყოფა, გინება, არ მანებებს თავს. ვთხოვ ამ ხალხს, რომ მოშორდეს პოლიციას ეს ადამიანი, – თქვა თამაზ გრატიაშვილმა.

პოლიციელები დავით ოდიშარია და თორნიკე კეჭაყმაძე ფიგურირებენ გრატიაშვილის 3 თვის წინანდელ საქმეში, როცა ის ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.

გრატიაშვილმა სარჩელით გენერალურ ინსპექციას მიმართა. დაზარალებული ამბობს, რომ პოლიციელები სარჩელის გამოტანას სთხოვენ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„რუსეთი ბელარუსსა და საქართველოზე პარალელურად მუშაობს“

ვახტანგ მაისაია: „ლუკაშენკო უკანასკნელი დიქტატორია, ისეთივე დიქტატორი, როგორებიც იყვნენ სააკაშვილი და იანუკოვიჩი“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, ბელარუსში განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ? რუსული კვალი აშკარად ხომ არ ჩანს?

– ბელარუსში შექმნილი ვითარება რუსული ფერადი რევოლუციის სცენარია. რუსეთს ბელარუსში საკმაოდ დიდი ბერკეტები აქვს. როგორც ჩანს, საქართველოშიც იმავე ბერკეტების გამოყენებას ცდილობს, რომლებსაც ბელარუსში იყენებს.

– როგორ?

– რუსეთი ბელარუსსა და საქართველოზე პარალელურად მუშაობს.

– ბელარუსში ლუკაშენკოს წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები დაიწყო. საქართველოში კი საპარლამენტო არჩევნებია მოახლოებული, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და პოლიტიკურად ძალიან სენსიტიურია ჩვენთვის. ამ არჩევნებს შიდაპოლიტიკური, საგარეო პოლიტიკური და გეოპოლიტიკური გზამკვლევის როლი აქვს.

– ამიტომ კრემლი ამ მიმართულებით გააქტიურებულია. ის იყენებს სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებას, თავის პოლიტიკურ ვერტიკალში სხვადასხვა კლანს, რათა გადაანაწილოს საგარეო პოლიტიკური ამოცანები საქართველოსა და ბელარუსის მიმართულებით.

– ბელარუსში განვითარებულ მოვლენებს საეჭვოდ დაემთხვა ლავროვის განცხადებები საქართველოსთან მოლაპარაკებების შესახებ, ასევე – აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის განცხადება, რომ გალის მოსახლეობის მოქალაქეობის პრობლემების მოგვარება აუცილებელია. ამგვარ განცხადებებს რუსეთი, ბელარუსში შესვლის შემთხვევაში, დასავლეთის რეაქციის შესარბილებლად ხომ არ აკეთებს?

– შესარბილებლად – არა, მაგრამ რუსეთს სურს პოსტსაბჭოთა სივრცეში ჰეგემონობა და მისი ჰეგემონობის დამკვიდრება. ეს არის კრემლის ძირითადი ამოცანა.

– ლუკაშენკო ხუთი ვადით პრეზიდენტი იყო. როგორც ჩანს, ხალხსაც აევსო მოთმინების ფიალა. დასავლეთი არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევს. როგორც ჩანს, საქმე ძალიან ცუდადაა. პომპეომ თავის დროზე განაცხადა, რომ ისინი ფიქრობენ სანქციებზე და მოელაპარაკებიან ევროპელებს. ევროპამ ამ კუთხით თავისი სიტყვა თქვა. ეს ლუკაშენკოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილება არ არის, მაგრამ ლუკაშენკოსაც დასავლეთი და ევროპა არ ედარდება.

– ნამდვილად.

– როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები?

– ლუკაშენკომ არჩევნები მანამდეც გააყალბა და მანამდეც არ ცნობდნენ მის ლეგიტიმურობას, მით უმეტეს, ამ არჩევნებში ყველა ზღვარი გადალახა, თუმცა, გამორიცხული არ არის, თუ საპროტესტო გამოსვლები გაგრძელდა, შეიძლება, მოვლენები სომხეთის ფერადი რევოლუციის მსგავსად განვითარდეს, სადაც რუსეთს პულსზე ხელი ყოველთვის ეჭირა, მაგრამ კრემლისთვის მიუღებელი სტრატეგიით ნიკოლ ფაშინიანი მოვიდა. შეიძლება, იგივე გაკეთდეს ბელარუსშიც.

ლუკაშენკოსა და პუტინს, განსაკუთრებით, მედვედევსა და ლუკაშენკოს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა იყო. განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა იყო მედვედევსა და ლუკაშენკოს შორის. მოგეხსენებათ, ლუკაშენკომ საკმაოდ ცუდი სიტყვებით მოიხსენია მედვედევი და ანატოლი ჩუბაისი, რომლებიც წარმოადგენენ კრემლის ვერტიკალის ყველაზე გავლენიან სანკტ-პეტერბურგის ლიბერალური კლანის წარმომადგენლებს. დიდი ალბათობით, ლიბერალური კლანის ეგიდით, ბელარუსში ფერადი რევოლუცია მიმდინარეობს.

– რუსეთს ხომ შეეძლო, თავისი გავლენებით ისეთი კანდიდატურა აერჩია, რომელიც ლუკაშენკოს ჩაანაცვლებდა?

– რუსეთს ჰყავდა ასეთი პიროვნება.

– ალბათ, ჩანაცვლება ლუკაშენკოსთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. თუმცა, დაიწერა თუ ნამდვილად გაიმარჯვა, 80% დაფიქსირდა. რად უნდოდა ამხელა პროცენტი?

– ლუკაშენკო არის სუპერქარიზმატული, ძალიან ამბიციური პიროვნება. მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ხალხი კვლავ მისი მხარდამჭერია და 80%-ზე ნაკლები მხარდაჭერა არ აქვს. ეს დიქტატორების ჩვეულებრივი მანიაკალური ტრენდია, რაც ფსიქოლოგიურ შიდააშლილობის პრობლემებზე უფრო მიუთითებს. თუმცა ლუკაშენკო ძალიან გამოცდილი, ძალიან ცბიერი პოლიტიკოსია და ვითარების გათვლა მას რამდენიმე ნაბიჯით წინ შეუძლია. ის სტრატეგიულად მოაზროვნე პიროვნებაა.

ლუკაშენკოს ჰყავს ძლიერი ძალოვანი სტრუქტურები და მისი ერთი ხელის მოსმით თანამდებობიდან ჩამოგდება (როგორც ეს იანუკოვიჩისა და სარქისიანის შემთხვევაში მოხდა) იოლი არ არის. მეორე ფაქტორიც არის – როგორც ჩანს, კრემლმა ლუკაშენკოს კარგი გაკვეთილი ჩაუტარა.

– მაინც რა?

– თუნდაც, ერთი მხრივ, ლიბერალების მეშვეობით გამოწვეული მასობრივი გამოსვლები და რევოლუციური სცენარი. ლუკაშენკო საკმაოდ მოტყდა, მიხვდა, რომ მოსკოვის გავლენით შეიძლება მისი ძალაუფლება მოყანყალდეს. ორი დღის წინ ლუკაშენკომ პირველად უწოდა პუტინს პირადი მეგობარი, რაც ბოლო პერიოდში არ დაფიქსირებულა. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ლუკაშენკო კრემლის მადლიერია.

– ლუკაშენკო და პუტინი ერთმანეთს ესაუბრნენ და მეორე დღეს რუსული სამხედრო მანქანები გამოჩნდნენ ბელარუს-რუსეთის საზღვარზე. ამან ბელარუსი ხალხი შეიძლება დააშინოს და აქციებზე აღარ გამოვიდეს?

– ჯერ ერთი, გასარკვევია, ვინ იყვნენ, მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, ისინი „მწვანე კაცუნები“ იყვნენ. რას ნიშნავს „მწვანე კაცუნების“ ბელარუსში გამოჩენა, ისინი ლუკაშენკოს მხარეს იმოქმედებენ თუ ოპოზიციის მხარეს, ესეც გაურკვეველია.

პუტინმა ლუკაშენკოს მხარდაჭერა აღუთქვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პუტინი მას მეორე მხრიდან ხაფანგს არ უმზადებს, ანუ თუ ერთი არ გამოვა, გამოვა მეორე.

– ანუ არეულობა გარდაუვალია? ასე გამოდის.

– გააჩნია, როგორ იმოქმედებს ლუკაშენკო და კრემლისადმი რამდენად დამყოლი იქნება.

– საზოგადოებას რომ შევახსენოთ, ვინ არიან ეს „მწვანე კაცუნები“ და პუტინის მიერ მათი გამოყენება სად მოხდა.

– „მწვანე კაცუნები“ გრუ-ს სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები არიან. მათ მოახდინეს ყირიმში უკრაინის სამხედრო ნაწილების დაბლოკვა, მათი განიარაღება და ნახევარკუნძულის ოკუპაცია. „მწვანე კაცუნები“ ერთიანი ეროვნული თავდაცვის ცენტრის ეგიდით მოქმედი, სპეციალურ დავალებათა ოპერაციების სწრაფი რეაგირების ძალები არიან.

– თუ აქვს ბელარუსს ისეთი სუსტი წერტილები, როგორიც აქვს, მაგალითად, უკრაინას ყირიმისა და დონბასის სახით?

– არა, ბელარუსს ასეთი სუსტი წერტილები არ აქვს. ბელარუსი უფრო ნაციონალური ერთიანობით შეკრული ტერიტორიაა. მაგრამ ბელარუსში კრემლმა, უბრალოდ, ელიტები უნდა შეცვალოს. დავუშვათ, ლუკაშენკო და მისი მომხრეები შეცვალოს უფრო ლიბერალური და დამჯერი ელიტებით. იგივე თუნდაც ვიქტორ ბაბარიგა, ტიხანოვსკაია, რომელიც არ გამოირჩევა პროდასავლური სენტიმენტებით. არსებული ვითარების გამო საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. ითქვა, რომ ლუკაშენკო თუ წავა, ბელარუსი არ შეცვლის საგარეო პოლიტიკურ კურსს და კონსტიტუციური მოწყობა იგივე იქნება. ამიტომ ეს არის ინდიკაცია. კრემლი ბელარუსში სიტუაციას მყარად აკონტროლებს.

– ანუ ლუკაშენკო შეიცვლება, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, მას ვინ ჩაანაცვლებს.

– დიახ, როგორც ეს მოხდა სომხეთში.

– ბელარუსის სათავეში პროდასავლური პიროვნების მოსვლას გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს?

– რა თქმა უნდა. არა მგონია, ბელარუსის პრეზიდენტად პროდასავლური პიროვნება მოვიდეს. შეიძლება, უფრო ლიბერალური აზროვნებისა და ფასეულობების პიროვნება მოვიდეს, მაგრამ არა – პროდასავლელი.

– კაცმა რომ თქვას, სომხებსა და ბელარუსებს რუსებთან ყოფნა აწყობთ მათი სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის.

– ეგ ყველა სუვერენული ქვეყნისა და ერის გადასაწყვეტია. ბუნებრივია, მათ მოსახლეობას ვერავინ დააძალებს, აირჩიოს პროდასავლური მიმართულება. ამაში გასაკვირი არაფერია.

– რა გავლენას მოახდენს ბელარუსში ცვლილებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, იმავე, ვთქვათ, საქართველოზე, უკრაინაზე?

– ლუკაშენკო იყო უკანასკნელი დიქტატორი, ისეთივე დიქტატორი, როგორებიც იყვნენ სააკაშვილი და იანუკოვიჩი. არ გამოვრიცხავ, რომ დიქტატორის წასვლამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები ცენტრალურ აზიაში. თურქმენეთის ხელისუფლებას და პრეზიდენტ მუხამედოვს საკმაოდ მტკივნეული რეაქცია ჰქონდათ იმაზე, რომ თურქმენი სტუდენტები, რომლებიც ბელარუსში სწავლობდნენ, ამბოხებულების მხარეს დადგნენ.

ამან ძალიან შეაშფოთა თურქმენები და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოც კი შეკრიბეს. ეს შეიძლება მოასწავებდეს იმას, რომ ცენტრალურ აზიაზე, კავკასიის ან სხვა სახელმწიფოებზე დაიწყოს საუბარი. შემთხვევით არ იყო, რომ ბელარუსის პრეზიდენტს, პირველ რიგში, მიულოცეს რუსეთმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებმა. რუსეთში სიტუაცია დაიძაბა ნავალნის მოწამვლის გამო. ეს კრემლისთვის ძალიან სერიოზული გამოწვევა იქნება.

– ლუკაშენკომ არ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-ბელარუსის კავშირი ძლიერი იყო. ახლა ვინ მოვა და რა იქნება, ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა?

– დიახ, დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ლუკაშენკომ ძალაუფლება შეინარჩუნა, არსებობს საშიშროება, პუტინის ნებას არ დაჰყვეს. დასავლეთმა – ამერიკამ, ავსტრალიამ, კანადამ – ლუკაშენკოს ლეგიტიმურობა არ ცნეს. მეორე მხრივ, თუ ხელისუფლებაში მოვიდა ოპოზიციური დაჯგუფების ხელმძღვანელი, რომელიც, დიდი ალბათობით, შეიძლება, იყოს ბაბარიგა, იმიტომ, რომ მას უფრო მყარი პოზიციები გააჩნია. ის ბელარუსში იყო გაზპრომბანკის ფილიალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მის მხარეზეა ფინანსები, მისი შტაბის უფროსი მარია კოლესნიკოვა, რომელიც იმავე გაზპრომბანკის წარმომადგენელია. თუ მოხდა ლუკაშენკოს გადაყენება, შეიძლება.

– შეიძლება, თვითონ ლუკაშენკომ რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს და თამაშიდან გავიდეს?

– არა მგონია. ლუკაშენკო არ წავა ისე, როგორც შევარდნაძე წავიდა. ის არის ამბიციური პიროვნება და ხელისუფლებას იოლად არ დათმობს.

– შევარდნაძე უკვე მოხუცი იყო.

– არც ლუკაშენკო მყავს ბრედ პიტი. ლუკაშენკომ შეიძლება ახალი კონსტიტუცია შეიმუშაოს, რომლის საფუძველზეც გადააბარებს ხელისუფლებას, თვითონ კი ერის ლიდერი გახდება, როგორც ყაზახეთში მოხდა.

– ბელარუსში საპროტესტო აქციების ვითარებაში ჩვენი ელჩი მინსკში სასწრაფოდ გადააფრინეს. როგორც ჩანს, გარკვეული საშიშროება არსებობს.

– უკრაინამ, ლიტვამ, პოლონეთმა ელჩები გამოიხმეს, ჩვენ კი იქით გავუშვით.

– ლუკაშენკო დარჩება თუ ოპოზიცია მოვა ხელისუფლებაში, ალბათ, სამუშაოა, რომ არ მოხდეს ჩვენი ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება.

– კი ბატონო, ეს ვარიანტიც არ გამოირიცხება.

ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოების ნაწილი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებთან ფარულ შეხვედრას აპროტესტებს, ნაწილისთვის კი ეს მისაღებია

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის რადიკალური ჯგუფებისათვის ცეცხლზე ნავთის დასხმასავით გამოჩნდა ინფორმაცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების ენგურგადაღმა ფარული გადასვლისა და გალში კულუარული შეხვედრის შესახებ.

„მთავარ არხზე“ გასულმა სკანდალურმა ინფორმაციამ იმაზე, რომ 18 აგვისტოს გალში თავისუფლად გადავიდნენ ამ პარტიის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი და პარლამენტის ვიცესპიკერი, პარტიის გენერალური მდივანი ირმა ინანშვილი, აფხაზეთის საზოგადოებაც ააღელვა. გავრცელებული მონაცემებით, ისინი შეხვდნენ დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას თანაშემწე ლაშა საკანიას.

გასაკვირი არ არის, რომ ამაზე ყველაზე მეტი ხმაური ბჟანია-ანქვაბის იმ ოპონენტებმა გამოთქვეს, რომლებიც მათ გუნდს ქართველებთან დაახლოების მცდელობაში ადანაშაულებენ. რადიკალები, კერძოდ, „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმი“, ასევე ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაა“ ბჟანიას ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ დეტალურ ინფორმაციას ამ შეხვედრაზე.

– არ შეიძლება, რომ ამ ინფორმაციამ არ ააღელვოს აფხაზეთის საზოგადოება. ეს ინციდენტი ბევრ კითხვას ბადებს: ვინ დგას ამ მოლაპარაკებების უკან? რომელი გადაწყვეტილების საფუძველზე გადმოკვეთა საქართველოს დელეგაციამ სახელმწიფო საზღვარი იმ დროს, როცა საქართველოსთან ოფიციალური ურთიერთობა არ გვაქვს? – აცხადებს აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმი.

ფორუმის აზრით, აფხაზეთის ხელისუფლება ატარებს დესტრუქციულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია აფხაზეთის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ.

– ხელისუფლება სრულიად უგულებელყოფს საზოგადოების მოთხოვნას, არ იქნას განხილული საქართველოსთან პოლიტიკურ-სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხები. საქართველო ისევ რევანშისტულადაა განწყობილი და უარს ამბობს ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების ხელმოწერაზე. საქართველო არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, – აცხადებს ორგანიზაცია.

ფორუმი მოუწოდებს აფხაზეთის ახლანდელ საოკუპაციო ხელისუფლებას, ქართველებს მხოლოდ ჟენევის ტრადიციული მოლაპარაკებების ფორმატში, რუსეთის მონაწილეობით დაელაპარაკოს.

ვეტერანები ორგანიზაციიდან „არუაა“, რომლებიც აცხადებენ, რომ ქართველებმა მეოცე საუკუნეში ორჯერ მოაწყვეს აფხაზების გენოციდი, გალის საიდუმლო შეხვედრაზე აფხაზეთის პარლამენტის კომიტეტების მოსმენის გამართვას მოითხოვენ. მათი თქმით, თუ ბჟანიას ადმინისტრაცია ამ თემაზე დეპუტატების შეკითხვებს არ უპასუხებს, მაშინ საკითხი პარლამენტმა უნდა შეისწავლოს და საკომიტეტო მოსმენები გამართოს.

ერთ-ერთი აფხაზი კომენტატორი ასეთ კულუარულ შეხვედრებში საშინელებას ვერ ხედავს. მისთვის უფრო მიუღებელი იყო „ტყის ძმების“ წევრ გიორგი ლუკავას გათავისუფლება. იგი ლუკავას ტერორისტს უწოდებს და აცხადებს, რომ მის გათავისუფლებას და თბილისისთვის გადმოცემას წინ უძღოდა მსგავსი ფარული ქართულ-აფხაზური შეხვედრები.

აფხაზი რადიკალებისათვის კატეგორიულად მიუღებელია ნებისმიერი სახის ეკონომიკური თანამშრომლობა ენგურგამოღმა საქართველოსთან, ასევე, აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისათვის აფხაზური პასპორტების დარიგება და რუსეთის გარეშე დიალოგი ქართველებთან.

ბოლო დროს გავრცელებულ განცხადებებში ბჟანია-ანქვაბისა და შამბას წინააღმდეგ ამ ჯგუფებმა განაცხადეს, რომ საქართველოსთან ომი არ დამთავრებულა, ამიტომ ქართველებთან კონტაქტები და ვაჭრობაც კი დაუშვებელია.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საკითხზე განმარტებებს არ აკეთებს. ამ პარტიის ერთ-ერთი სლოგანია დიალოგი მოსკოვთან, სოხუმთან და ცხინვალთან. ბოლო ხანს თარხან-მოურავმა ისიც აღნიშნა, რომ ტერმინი „ცხინვალის რეგიონი“ შეურაცხყოფად აღიქმება და უმჯობესია ვიხმაროთ „სამხრეთ ოსეთი“.

პარტია ასევე ინტენსიურ კამპანიას ეწევა საქართველოს სამხედრო მიუმხრობლობის თაობაზე. ეს ზუსტად ემთხვევა საოკუპაციო რეჟიმების გამოხდომებს ნატოს წინააღმდეგ.

ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ დიდი ალბათობით, ეს ფარული შეხვედრა რუსეთის ნებართვის გარეშე ვერ გაიმართებოდა.

ქართულ-აფხაზური და ქართულ– ოსური შეხვედრები კრემლისთვის მოსაწონია გარკვეული მიზეზების გამო. ამით კრემლს სურს დაამტკიცოს, რომ ამ კონფლიქტებში რუსეთი ჩარეული არ არის.

„მირიან ნიკოლაძეს განაჩენი გამოუტანეს“

ვინ ემუქრება შაქარაშვილის ბიძას ლიკვიდაციით

შაქარაშვილის საქმეში ბრალდებული არასრულწლოვნის ზ.ხ-ს მამამ თამაზ ხომასურიძემ „ტვ პირველის“ ეთერში განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, ნიკოლაძის ლიკვიდაცია იგეგმება.

– გუშინ მქონდა კომუნიკაცია ერთ-ერთ პიროვნებასთან, რომელიც არის „თეთრი ისრის“ წარმომადგენელი, თავიანთ თავს უწოდებენ ინკვიზიტორებს. მათ გამოიკვლიეს, რომ ჩემი შვილი არის უდანაშაულო. მითხრეს, სამართალს ჩვენ დავამყარებთ და შენ გაჩერდიო. მირიან ნიკოლაძეს გამოუტანეს განაჩენი ადრე, იმის გამო, რომ მან გაათავისუფლა ნარკობარონი, ადრინდელ საქმეზეა ლაპარაკი. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები თვითონ გამოვიდნენ კონტაქტზე ჩემთან, – განაცხადა ზ.ხ-ს მამამ.

22 აგვისტოს თამაზ ხომასურიძე გამოკითხვაზე დაიბარეს. მისივე განმარტებით, მის საცხოვრებელ სახლში სამართალდამცველებმა ჩხრეკა ჩაატარეს, ამოიღეს მისი პირადი მობილური ტელეფონი, კომპიუტერი და საბუთები.

თამაზ ხომასურიძემ გამოკითხვის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ მას სამართალდამცავების შეკითხვებზე არ უპასუხია.

– როგორც ვფიქრობდი, გუშინდელთან დაკავშირებით ექნებოდათ კითხვები, თუ საიდან მქონდა ინფორმაცია ორგანიზაცია „თეთრი ისრის“ შესახებ, თუმცა მე საუბარსა და პასუხის გაცემაზე უარი ვთქვი.

თუ მოსამართლე განჩინებას გამოიტანს, რომ მე ვალდებული ვიქნები, ჩვენება მივცე, მაშინ გავაკეთებ ამას, – განაცხადა მან.

მირიან ნიკოლაძის თქმით კი თამაზ ხომასურიძის განცხადებები საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ამაზე სწრაფი რეაგირება უნდა მოხდეს.

– ასეთი ადამიანები საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. საღ ჭკუაზეა თუ არა ის, ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს. შესაძლოა, ეს ადამიანი იმ პოტენციის მატარებელი იყოს, რომ ვიღაცას რაღაც დაუშავოს. მე მგონი, დროულად უნდა მივიღოთ ზომები. მე ამ ყველაფერს არ აღვიქვამ სერიოზულად, მაგრამ იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ის ზოგადი საფრთხის მატარებელი იყოს.

ვიღაცამ მაინც ურჩიოს, რომ ყოველდღეს უდასტურებს საზოგადოებას, რომ მისი შვილი აბსოლუტურად შესაძლებელია, განზრახ მკვლელობის ჩამდენი იყოს, – აღნიშნა გიორგი შაქარაშვილის ბიძამ, ოჯახის ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ.

„კოტეჯს აქირავებდა და მდგმურებმა დაურეკეს“

29 წლის ლასი აბუთიძე 19 წლის ბიჭებმა ცემით მოკლეს

22 აგვისტოს ამბროლაურში 19 წლის ბიჭებმა 29 წლის ვლასი აბუთიძე ცემით მოკლეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ორივე ბრალ-დებული პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტა-მენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამ-ბროლაურის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნეს. დამამძიმებელ გარე-მოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 2001 წელს დაბა-დებული 2 პირი: ვ.ს. და ი.ქ.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 22 აგვისტოს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ბრალდებულებს და 1990 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ლ.ა. დაპირისპირების დროს მიღებული დაზიანებებით შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ ბრალდებულები დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა. ისი-ნი ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დანიშნულია შესაბამისი ექ-სპერტიზები.

დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სის-ხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – ნათქვა-მია განცხადებაში.

როგორც „ამბებისთვის“ გახდა ცნობილი, დაკავებულები ტყიბულის მუნიციპალიტეტიდან არიან.

ლასი აბუთიძეს მეუღლე და მცირეწლოვანი გოგონა დარჩა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ამბობენ, რომ ახალგაზრდას სოფელში კოტეჯი ჰქონდა, სადაც მდგმურები ჰყავდა.

– მდგმურებმა გარდაცვლილს დაურეკეს და დახმარება სთხოვეს, რადგან გვერდით მყოფი მუშები მათ აწუხებდნენ. სავარაუდოდ, ადგილზე დაპირისპირება მოხდა, რაც მკვლელობით დასრულდა, – უთხრეს ადგილობრივებმა „ამბებს“.

არსებული ინფორმაციით, 29 წლის მამაკაცი ხელით არის გაგუდული.

ამბები

„ნელი დროყაშვილი ბავშვს ოჯახის წევრებთან ურთიერთობას ნუ აუკრძალავს“

არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ინფორმაციით, გენერალურმა პროკურატურამ ნიკოლოზ ბასილაშვილის ბრალდების შესახებ დადგენილება დააზუსტა.

ორგანიზაციის იურისტების განცხადებით, მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ნელი დროროყაშვილი სხვადასხვა ფორმით ძალადობის მსხვერპლი არაერთხელ გამხდარა. ახალი გარემოებებით მხარეები სასამართლოში 20 ოქტომბერს წარდგებიან.

ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატი სპორტსმენისთვის ბრალის დამძიმებას უარყოფს. ირმა ჭკადუას თქმით, მიზანმიმართულად გრძელდება ბასილაშვილისთვის იმიჯის შელახვის მცდელობა.

– სპეკულაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე დაუმძიმდა ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება და თურმე ჩვენ, ადვოკატებმა, არ ვიცით და თურმე ვერ ვკითხულობთ, რეალურად, ჯობია იცოდნენ, და ეგონოთ, რომ ჩვენ, ადვოკატები, ამას ვერ ვხვდებით. ეს გახლავთ ის ორგანიზაცია, რომელმაც ყველაფერი იცის. მოდით, ეს საზოგადოებამ შეაფასოს.

დამძიმებას ვერ დავარქმევთ, ეს არის ბრალის დაზუსტება და ყველამ იცის, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილს ჰქონდა მეორე ნაწილი ძალადობის, ხოლო დაზუსტდა ბრალი პირველი ნაწილით. მოდით, თქვენ შეაფასეთ, ეს დამძიმებაა თუ არ არის დამძიმება.

მე მოვუწოდებ ქალბატონ დროროყაშვილს, შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება და ნუ უკრძალავს ოჯახის წევრებს, ბებიას, ბაბუასა და მამას ბავშვთან ურთიერთობას, – განაცხადა ადვოკატმა ირმა ჭკადუამ.

დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო ბრალდება ნიკოლოზ ბასილაშვილს ედავება ნელი დროროყაშვილის მიმართ გენდერული ნიშნით სხვადასხვა დროს განხორციელებულ ფიზიკური ძალადობის ოთხ ეპიზოდზე და სისტემატურ ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას.

„ბომბი ენზელ მკოიანის ძმის მანქანის მიახლოებისას აფეთქდა“

რა მოხდა ახალქალაქში

„ქართული ოცნების“ დეპუტატ ენზელ მკოიანის თქმით, 21 აგვისტოს ახალქალაქში, უნივერსიტეტის გზაზე, მისი ძმის მანქანის აფეთქება ცადეს.

ინფორმაცია ენზელ მკოიანმა ფეისბუკის გვერდზე გაავრცელა.

ვიდეოში ენზელ მკოიანი ტელეფონზე საუბრობს და არ გამორიცხავს, რომ აფეთქება იმ პირებთან იყოს კავშირში, რომლებიც მას ემუქრებიან.

„უნივერსიტეტის გზაზე ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დისტანციურად იმართებოდა, მანქანის მიახლოებისას აფეთქდა. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ ადგილზე დიდი ორმო გაჩნდა, ხის ტოტები და მიწა კი მანქანას შეეყარა. ძლიერი ბიძგის შედეგად მანქანაში საავარიო ბალიშები გაიშალა“, – ყვება მკოიანი ფეისბუკის პირდაპირ ეთერში.

ვიდეოში ასევე ისმის საყვედური გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძის მისამართითაც.

„მივწერე შოთაძეს (გულისხმობს მის მიმართ განხორციელებული მუქარისა და გამოძალვის შესაძლო ფაქტებს). ასე არ შეიძლება გაკეთება, 21 წელია, პარლამენტის დეპუტატი ვარ, მან კი ჩემი საქმე განსახილველად რეგიონულ სამმართველოში გამოაგზავნა განსახილველად“.

ენზელ მკოიანის მისამართით მუქარასა და თანხის გამოძალვასთან დაკავშირებით „ოცნების“ დეპუტატის ადვოკატმა ტარიელ მურმანიშვილმა ბრიფინგი 10 აგვისტოს გამართა.

მისი თქმით, მუქარის შემცველი ტექსტებით მკოიანს ორჯერ დაურეკეს და 5 მლნ დოლარი მოსთხოვეს.

სამეგრელოს პოლიციამ სენაკში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სენაკში 8 აგვისტოს მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნეს. დაკავებულია წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პირი – 1957 წელს დაბადებული რ.გ.

დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თანამზრახველებთან ერთად, სოფელ ძველ სენაკში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში უკანონოდ შეაღწია, სახლში მყოფ პირებს იარაღის მუქარით მობილური ტელეფონები, ასევე, ფული გასტაცა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: ყაჩაღური გზით დაუფლებული მობილური ტელეფონი, ასევე, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი პისტოლეტი, მჭიდი და 5 ცალი ვაზნა. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

მომხდარ ფაქტზე გრძელდება საგამოძიებო ღონისძიებები დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

ბინაში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

„სცემეს, მანქანაში ჩააგდეს და ქობულეთში ჩაიყვანეს“

პოლიციამ 5 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული და სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი პირები: 1992 წელს დაბადებული გ.გ., 1980 წელს დაბადებული კ.ს., 1990 წელს დაბადებული გ.გ., 1981 წელს დაბადებული გ.ქ. და 1984 წელს დაბადებული ა.მ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1992 წელს დაბადებულმა გ.გ-მ, კ.ს-სთან და გ.გ-სთან ერთად, წარსულში არსებული უთანხმოების გამო, შურისძიების მოტივით, 1983 წელს დაბადებულ ო.კ-ს, თბილისში, მისსავე დროებით საცხოვრებელ სახლში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც აღნიშნულმა პირებმა ცივი იარაღის მუქარით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს ო.კ.-ს და ა.მ.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით ქობულეთში ჩაიყვანეს. ამის შემდეგ ბრალდებულებმა ო.კ. გადასვეს გ.ქ.-ს მფლობელობაში არსებულ ავტომობილში და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს მიმართულებით წაიყვანეს.

აღნიშნული ავტომობილი სამართალდამცველებმა შეაჩერეს. პოლიციამ დანაშაულში მონაწილე ოთხი პირი – გ.გ., კ.ს., გ.ქ. და გ.გ. – ადგილზე, ხოლო ა.მ. რამდენიმე საათში დააკავა.

სამართალდამცველებმა ორივე ავტომობილი, ასევე დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა – ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ჩადენილ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

დააკავეს ძიძა, რომელიც ორი წლის ბავშვზე ფიზიკურად ძალადობდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული ლ.ლ. თბილისში დააკავეს.

ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თბილისში, ერთ-ერთ ოჯახში ძიძად მუშაობდა, სადაც ორ სხვა ძიძასთან ერთად ხუთ მცირეწლოვანს უვლიდა. ლ.ლ. ინტენსიურად ფიზიკურად ძალადობდა 2 წლის ბავშვზე, რომლის ამსახველი ვიდეომასალაც ძიძებმა შ.დ.-მ და ი.ბ.-მ სამართალდამცველებს მიაწოდეს. პოლიციის მყისიერი რეაგირების შედეგად ლ.ლ.-ს დაკავება დაუყოვნებლივ განხორციელდა.

გამოძიება არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დანაშაული ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

ავლაბარში მამაკაცმა თავი დაიჭრა

22 აგვისტოს გვიან ღამემდე მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები ავლაბარში.

გავრცელებული ინფორმაციით, შუახნის მამაკაცს იარაღი გაუვარდა და დაიჭრა.

ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს.

მსოფლიო პატრიარქი: „აია სოფიასა და ხორას მონასტრის მეჩეთად გადაკეთებამ უდიდესი ტკივილი მოგვაყენა“

– ფაქტია, რომ აია სოფიასა და ახლა უკვე ხორას მონასტრის მუსლიმურ მეჩეთად გადაკეთებამ უდიდესი ტკივილი მოგვაყენა, – ამის შესახებ მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა საკვირაო ლიტურგიის შემდეგ განაცხადა.

– სტამბოლის ეს ორი უნიკალური ძეგლი აშენებულია, როგორც ქრისტიანული ტაძრები, რომლებიც აჩვენებდნენ ღმერთის სიტყვის ჭეშმარიტ განხორციელებას, ქვეყნის მაცხოვრის სილამაზეს. ისინი გამოხატავენ ჩვენი რწმენის უნივერსალურ სულს, სიყვარულსა და მარადიულობის იმედს. მათი მოზაიკა და სხვა ფრესკები – სულისთვის სამოთხისეული საკვებია და დაუშრეტელი სიხარული, – აღნიშნა მსოფლიო პატრიარქმა.

მისი თქმით, ეს ძეგლები მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნებიან.

– ჩვენ ვევედრებით სიყვარულის, სამართლიანობისა და მშვიდობის ღმერთს, რათა მან გაუნათოს პასუხისმგებელ ადამიანთა გონება და გული, – აღნიშნა პატრიარქმა ბართლომეოსმა.

თურქეთში წყალდიდობას 5 ადამიანი ემსხვერპლა

12 პირი დაკარგულად ითვლება

თურქეთში, გირესუნის პროვინციაში, წყალდიდობას მინიმუმ 5 ადამიანი ემსხვერპლა, 12 ადამიანი კი დაკარგულად ითვლება. გარდაცვლილთა შორის ერთი ჯარისკაცია.

დერელის ოლქში წყალდიდობის შედეგად დაზიანდა ავტომობილები და შენობები. სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, აგვისტოში ატმოსფერულმა ნალექმა გირესუნის რეგიონში საშუალო მაჩვენებელს 1.5-ჯერ გადააჭარბა.

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განკარგულება გასცა, რომ მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად ყველა სახელმწიფო რესურსი იქნეს გამოყენებული.

რუსული ეკლესია ბელარუსი სასულიერო პირის წინააღმდეგ

გროდნოს არქიეპისკოპოსმა არტემიმ ბელარუსის ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი მიტინგების დარბევას მიუღებელი უწოდა.

ამ გამოსვლამ რუსული ეკლესია გააღიზიანა.

მინსკის მიტროპოლიამ საპასუხო განცხადება გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ არტემის გამოსვლა მისი პირადი შეხედულებებია და მინსკის მიტროპოლიის პოზიციას არ გამოხატავს.

– საერთოდ, სასულიერო პირს არა აქვს უფლება, პოლიტიკაში ჩაერიოს, მით უმეტეს, ამბიონიდან დაიწყოს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო იდეის ქადაგება, – ნათქვამია განცხადებაში.

ბელარუსში დღემდე რუსული ეკლესია მოქმედებს. მინსკში ზის რუსი ეგზარქოსი, რომელიც უშუალოდ მოსკოვს ემორჩილება. ბელარუსული ავტოკეფალიური ეკლესია კი ძირითადად ემიგრაციაში ფუნქციონირებს. ბელარუსის ტერიტორიაზე მისი საქმიანობა აკრძალულია.

– ბელარუსული ეკლესიის ავტოკეფალია არაკანონიკურია და ის ქრისტიანულ დოგმებს ეწინააღმდეგება! – განაცხადა ალექსანდრე ლუკაშენკომ.

ნავალნი ბერლინში გადაიყვანეს



Reuters /video grab

რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი ნავალნი თვითმფრინავით ბერლინში გადაიყვანეს. გადაფრენის ხარჯები ცნობილმა რუსმა ფილანტროპმა და ბიზნესმენმა ზიმინმა დაფარა.

ომსკელი ექიმები ნავალნის ბერლინში გადაყვანის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ. ნავალნის ოჯახმაც პუტინს მიმართა. საბოლოოდ რუსეთის პრეზიდენტმა ბერლინში გადაყვანის ნება დართო.

რუსი ექიმები ამტკიცებენ, რომ ნავალნის კომა ნივთიერებათა ცვლის მოშლამ გამოიწვია. მათი თქმით, ეს, შესაძლოა, იმ დიეტით იყოს გამოწვეული, რომელსაც ნავალნი იცავდა. გერმანელი ექიმები ასეთი დასკვნისაგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. სავარაუდოდ, ისინი რამდენიმე დღეში დასვამენ დიაგნოზს.

ნავალნის თანამებრძოლები ამტკიცებენ, რომ ის მოწამლულია. ისინი იშველიებენ ერთ-ერთი რუსი პოლიციელის სიტყვებს, რომელმაც მათ განუცხადა, რომ ნავალნი მოწამლულია ძლიერმოქმედი შხამით, მაგრამ თავად შხამი არ დაუსახელებია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ჩაღლარის დაწესებულებებზე შეტევა გრძელდება

დახურეს კიდევ ერთი სკოლა, ამჟამად – რუსთავში

მთავრობა თურქეთის ხელისუფლების ზეწოლით ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე შეტევას აგრძელებს. ახლახან ავტორიზაცია რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს გაუუქმეს. როგორც სკოლის ადვოკატი მარიამ ჩიქოვანი „რეზონანსთან“ საუბარში აღნიშნავს, ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მიზანმიმართული კამპანიაა.

2017 წლის თებერვალში, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ ქსელში შემავალი კიდევ ერთი, ბათუმის რეფადინ შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმი დაიხურა, ამავე წლის აგვისტოში ავტორიზაცია გაუუქმდა თბილისში მოქმედ დემირელის კოლეჯსაც.

როგორც ადვოკატი ჩიქოვანი აღნიშნავს, რუსთავის სკოლა-ლიცეუმს აკრედიტაცია 2023 წლამდე ჰქონდა, თუმცა 2020 წლის დასაწყისში დაწესებულებას აკრედიტაცია გაურკვეველი მიზეზებით გაუუქმეს.

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ რუსთავის სკოლას ავტორიზაცია 2017 წელს აქვს მინიჭებული, რომელიც ძალაში 2023 წლამდე იყო, ანუ სკოლას ზოგადად ექვსწლიანი ავტორიზაცია ენიჭება, ავტორიზაციის ყველა პირობებს აკმაყოფილებდა და საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია შესაბამისად მიიღო.

თუმცა 2020 წლის თებერვალში სკოლაში მონიტორინგის ჯგუფი და ექსპერტები შემოვიდნენ. ძირითადად მონიტორინგის მიზანი არის ხოლმე, რომ ექსპერტებმა სკოლის საქმიანობა შეამოწმონ და შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები მისცენ, ანუ ეს ავტორიზაციის მინიჭების ან გაუქმების მონიტორინგი არაა, თუმცა, ამ ექსპერტების დასკვნის დადების შემდეგ, რომელიც, წესით, რეკომენდაციებს უნდა მოიცავდეს, დასკვნაში რაღაც მცირედი აბსოლუტურად უმნიშვნელო ხარვეზები ჩაიწერა, ან ისეთი, რომელიც გამოსწორებას ძალიან ადვილად ექვემდებარებოდა, მაგალითისთვის სკოლის საპირფარეშოში ტუალეტის სახელური არ იყო და მსგავსი ასეთი ტექნიკური საკითხები.

შემდეგ მაისის თვეში როდესაც უკვე პანდემია და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა იყო, „ზუმის“ საშუალებით ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა, თვითონ ეს სხდომა ძალიან არაობიექტურად არასამართლიანად იყო ჩატარებული, რადგან სკოლის წარმომადგენლებს თავიანთი პოზიციის დაფიქსირების საშუალება საერთოდ არ მიეცათ, ასეთი ფორმატით გაიმართა, რომ ექსპერტებმა თავის დასკვნა წარმოადგინეს და ავტორიზაციის საბჭომ ყველანაირი დამატებითი შეკითხვების გარეშე და მტკიცებულებების უფლებელყოფის საფუძველზე, სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. – აღნიშნა მან.

ადვოკატის თქმით, იმის გამო, რომ სკოლას აკრედიტაცია გაუუქმდა, სამსახურისა და განათლების გარეშე 70-მდე პედაგოგი და 230-მდე სკოლის მოსწავლე დარჩა, რომელთა შორის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებიც არიან.

– ეს სკოლა დაახლოებით 15 წელია, არსებობს, ავტორიზაციას ყოველთვის უპრობლემოდ გადიოდა, ქართლის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია, მატერიალურ-ტექნიკური-საგანმანათლებლო ბაზით. ამ სკოლაში დიდი პროცენტი ეროვნული უმცირესობებია. ისინი ქართულად სწავლობენ და ქართულ ენას ეუფლებიან. სადღაც, 70-მდე პედაგოგია დასაქმებული, ბავშვები კი, ალბათ, 230-მდეა, ანუ საკმაოდ დიდი, წარმატებული და ფუნქციური სკოლაა, რომელიც წლების განმავლობაში მთელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, შეუცვლელია.

ეს გადაწყვეტილება ძალიან ბევრ ეჭვს გვიჩენს იმიტომ, რომ ვიცით, ალბათ, 2017 წლიდან ჩაღლარის დაწესებულებების მიმართ მიზანმიმართული ანტიპიარკამპანიაა, დაახლოებით რვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხუთი დახურეს, მათ შორის დემირელის კოლეჯი, რომელსაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ბათუმის შაჰინის სკოლა, შავი ზღვის უნივერსიტეტთან დაკავშირებით როგორი სიტუაცია იყო, თუმცა ამ უნივერსიტეტს ავტორიზაცია საბოლოოდ მაინც გაუგრძელდა, – განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატის განცხადებით, სკოლის პოზიციაა, რომ თუ განათლების სამინისტროს სააპელაციო საბჭოში შეტანილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილებას უკვე სასამართლოში გაასაჩივრებენ.

– ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, რაღაც მიზანმიმართული კამპანიაა, რომელიც, ჩვენი აზრით, ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთოდ გაუქმებას ისახავს მიზნად. გასაჩივრებული გვაქვს, საჩივარი განათლების სამინისტროს სააპელაციო საბჭოში შევიტანეთ და სხდომას ველოდებით, რომელიც უნდა ჩატარდეს.

სკოლის პოზიციაა, რომ თუ განათლების სამინისტრომ საჩივარი არ დააკმაყოფილა, გადაწყვეტილება აუცილებლად სასამართლოში იქნება გასაჩივრებული. ბრძოლას ბოლომდე ნამდვილად აპირებენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ისაა, რომ სხდომა როდესაც ზუმის მეშვეობით ჩატარდა, სამწუხაროდ, ამისი არც ვიდეო, არც აუდიოჩანაწერი არ არსებობს. უბრალოდ, სხდომის ოქმია გამოქვეყნებული, სადაც გადაწყვეტილებაზე არანაირი დასაბუთება არაა, არის ჩამოყალიბებული ექსპერტების პოზიცია, შემდეგ გაკვრით ორი წინადადება სკოლაზე და შემდეგ მსჯელობა კი არაა, რომ ხარვეზი არის თუ არა საფუძველი იმისა, რომ დარღვევად ჩაითვალოს, არამედ პირდაპირ კენჭისყრაა და გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებაა, ანუ რატომაა გაუქმებული, ამის დასაბუთება ბოლომდე ჩვენ არც ვიცით.

თუ ეს საქმე ყველა პრინციპის დაცვით, სამართლებრივად იქნება განხილული, რა თქმა უნდა, საქმე ჩვენ სასარგებლოდ უნდა იქნას მიღებული. ჩვენ იმედს არ ვკარგავთ იმიტომ, რომ „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ შემთხვევაში, ხალხის მხარდაჭერამ, სამართლებრივი პოზიციის სიმყარემ განაპირობა ის, რომ ამ უნივერსიტეტის ავტორიზაცია შევინარჩუნეთ. შესაბამისად, ვთვლით, რომ ბრძოლას აზრი აქვს, – განაცხადა ჩიქოვანმა.

შეგახსენებთ, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, რომელიც ასევე ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგიონულ ქსელს წარმოადგენს, 2018 წელს სტუდენტთა მიღების უფლება 1 წლის ვადით შეეზღუდა. უნივერსიტეტი აცხადებდა, რომ გადაწყვეტილება უსამართლო იყო, რადგან უნივერსიტეტის დაწესებულებას 2018 წლის 20 აგვისტოს ავტორიზაცია 6 წლის ვადით მიენიჭა, თუმცა, ამავე დროს, საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო და უნივერსიტეტს 2019 წლის 20 აგვისტომდე სტუდენტთა ნაკადის მიღება შეუჩერა.



მსახიობი ვახტანგ თანდილაშვილი გარდაიცვალა

80 წლის ასაკში მარჯანიშვილის თეატრის ყოფილი მსახიობი ვახტანგ (ბელა) თანდილაშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მარჯანიშვილის თეატრმა გაავრცელა.

თეატრიდან ვახტანგ თანდილაშვილი წინა ხელისუფლების დროს წავიდა. რაც შეეხება მის კინოკარიერას, პირველად ოთარ იოსელიანის ფილმ „გიორგობისთვეში“ ითამაშა, რასაც მოჰყვა „მთვარის მოტაცება“, „დათა თუთაშხია“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“... ბოლო ფილმი კვლავ ოთარ იოსელიანის აღმოჩნდა – „შანტრაბა“.

ფოცხიშვილების სამეფო ნაციონალური ბალეტი კონცერტებს მზიურში გამართავს

ფოცხიშვილების სამეფო ნაციონალური ბალეტი 28, 29 და 30 აგვისტოს ნოდარ დუმბაძის სახელობის მზიურის პარკში უფასო კონცერტებს გამართავს.

ინფორმაცია გელოდი ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– მერიის საჩუქარი თბილისელებსა და ჩამოსულ სტუმრებს. მერიის გადაწყვეტილებით, 28, 29 და 30 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ნოდარ დუმბაძის სახელობის მზიურის პარკში დანიშნულია ფოცხიშვილების სამეფო ნაციონალური ბალეტის სოლოკონცერტები, რომელიც ეძღვნება პანდემიასთან დაკავშირებულ მოვლენებს. გთხოვთ, მობრძანდეთ ოჯახთან ერთად. შესვლა თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბასილაშვილმა სეზონი მარცხით გახსნა

საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ცინცინატის ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა. ჩვენებური მე-15 ნომრად განთესილ კანადელ ფელიქს ოჟე-ალიასიმს შეხვდა და 2 სეტში დამარცხდა – 4:6, 1:6.

28 წლის მსოფლიოს 27-ე ჩოგანი ქართველი პანდემიის შემდეგ ოფიციალურ ტურნირში პირველად ასპარეზობდა. ატპ-ს ტურზე ბოლოს ბასილაშვილს დუბაიში თებერვლის ბოლოს ჰქონდა ნათამაშები. მარტის დასაწყისში მან დევისის თასზე საქართველოს ნაკრებში ითამაშა, ივლისში კი – საგამოფენო ტურნირზე.

აღსანიშნავია, რომ 20 წლის ოჟე-ალიასიმთან ნიკამ სამივე დაპირისპირება წააგო. შარშან ლიონის ტურნირის ნახევარფინალში და მაიამის ტურნირის მერვედფინალში. ახალი მატჩი მათ შორის ყველაზე ნაკლებად დაძაბული გამოდგა, კანადელმა საათსა და 18 წუთში მოიგო.

არადა, თამაში ნიკამ კარგად დაიწყო, მეტოქის მოწოდება მოიგო და დაწინაურდა, თუმცა 2:1-ზე ბასილაშვილმა საკუთარი მოწოდება წააგო. ბასილაშვილი სეტში ერთხელ კიდევ გავიდა წინ, როც 3:3-ზე მეტოქის მოწოდება კიდევ ერთხელ მოიგო, მაგრამ ამის შემდეგ მან მატჩში მხოლოდ 1 გეიმის მოგება შეძლო.

ბასილაშვილი ახლა ამერიკის ღია პირველობისთვის მოემზადება.

კუმანს ბარსელონაში მემფის დეპაის გადაყვანა უნდა

მიუნხენის ბაიერნთან 2:8 წაგების შემდეგ ლეო მესი ბარსელონის შეფებსა და კლუბის გარემოცვაზე ძალიან გაბრაზდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კატალონიელებმა მისი კიდევ უფრო მეტად განაწყენება მოახერხეს. მიზეზი: „ბლაუგრანას“ ახალი მწვრთნელის როლანდ კუმანისა და მსოფლიოს 6-გზის საუკეთესო ფეხბურთელის პირველივე პრივატული შეხვედრის დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა.

კუმანი მესის შეხვდა, რათა 33 წლის სუპერვარსკვლავი დაერწმუნებინა, რომ ბარსელონიდან წასვლა არ ღირს. როგორც ცნობილი გახდა, ამ შეხვედრის გამო არგენტინელმა შვებულება შეწყვიტა, თუმცა ინფორმაციამ მწვრთნელისა და ფეხბურთელის საუბრის შესახებ მისი დამთავრებისთანავე მასმედიაში გაჟონა.

მესის კუმანისთვის წასვლაზე ჩამოუგდია სიტყვა. არგენტინელს უთქვამს, რომ ბარსელონის დატოვებას აპირებს, მაგრამ, ისიც კარგად იცის, რომ კლუბი შეეცდება, ამის საშუალება არ მისცეს. მესის უთქვამს, რომ მას კარგად ესმის, თუ რა რთული მდგომარეობაა მის გარშემო შექმნილი.

როგორც არგენტინული მედია წერს, ბარსას კაპიტანი მხოლოდ იმან კი არ გააბრაზა, რომ კუმანთან მისი ლაპარაკის დეტალები გასაჯაროვდა, არამედ იმან, რომ ის კატალონიის იმ რადიომ გაასაჯაროვა, რომელიც ბარსელონის პრეზიდენტ ჟოზეპ მარია ბართომეუს მხარდამჭერია.

მესის სწამს, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა. საუბრის შინაარსის გარეთ გამოტანა კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა: ხალხმა უნდა იფიქროს, რომ მესი კლუბს ძნელბედობის დროს ტოვებს და ლაჩარივით გარბის. ეს კი, რასაკვირველია, შანტაჟია.

ამასობაში, ესპანური მედია ავრცელებს ცნობას, რომ ბარსას ლიდერის შეძენით დაინტერესებული არიან პარი სენ ჟერმენი, ინტერი და იუვენტუსი.

მედია იმასაც წერს, რომ მესი არსად წამსვლელი არ არის და 2021 წლის ივნისამდე თავის ამჟამინდელ კონტრაქტს უერთგულებს.

გადავიდეთ ლუის სუარესზე: კატალონიური პრესის ცნობით, სუარესის მომავალი ბარსელონის ახალი მწვრთნელის როლანდ კუმანის ხელში ნათელი არ არის. ნიდერლანდელმა გუნდის განახლებაზე ილაპარაკა და, როდესაც თავდასხმის ხაზს შეეხო, ლიონიდან მისი თანამემამულის მემფის დეპაის ყიდვაზე გაამახვილა ყურადღება.

33 წლის სუარესი ბარსელონაში 6 სეზონია, რაც თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში მან 283 შეხვედრაში 198 გოლი გაიტანა. კონტრაქტის თანახმად, სუარესმა „კამპ ნოუზე“ ერთი წელიც უნდა დაჰყოს, მაგრამ არის ერთი პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ ის მომდევნო სეზონის განმავლობაში იქ ჩაწერილი რაოდენობის თამაშებს ჩაატარებს, მაშინ თანამშრომლობა კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება.

ბოლო ხანს ითქვა, რომ სუარესი, შესაძლოა, აიაქსში დაბრუნდეს, სადაც 2007-11 წლებში თამაშობდა. მისი ყიდვით ასევე დაინტერესებული არიან ინტერი და იუვენტუსი.

თუმცა უფრო რეალური აიაქსია. საქმე ის არის, რომ კუმანს ნახევარდაცვის გაძლიერება მოუწადინებია. კლუბი კი მზად არის, ივან რაკიტიჩსა და არტირო ვიდალს გამოემშვიდობოს. სამაგიეროდ, კუმანს ფრენკი დე იონგის მეწყვილედ აიაქსისა და ნიდერლანდების ნაკრების ჰავბეკი დონი ვან დე ბეეკი შეუგულებია. კუმანი ფიქრობს, რომ მისი შეძენით გუნდის ხერხემალი კი გაახალგაზრდავდება, მაგრამ მოიმატებს სტაბილურობა.

აიაქსი ვან დე ბეეკს 50 მილიონ ევროდ აფასებს, კატალონიელებს კი ამ თანხის გადახდა არ შეუძლიათ, მაგრამ აქვთ საპასუხო ვერსია, რომელიც ლუის სუარესი იქნება ჩართული. ურუგვაელი ფორვარდი ნიდერლანდებში დაბრუნდება, ხოლო ბარსა აიაქსს 20 მილიონს გადაუხდის და ვან დე ბეეკს წაიყვანს.

აიაქსის სპორტული დირექტორი მარკ ოვერმარსიც დაინტერესებულია, რომ სუარესი ისევ მათთან დაბრუნდეს. აი, თავად ურუგვაელს კი ბარსელონიდან წასვლა არ სურს.

მოკლედ, ამ გარიგებით, სუარესის გარდა, ყველა კმაყოფილი დარჩება.

სამგლოვიარო განცხადებები

ვიზიარებთ და თანავუგრძნობთ მწუხარებაში მეუღლეს, უკეთილშობილეს ქალბატონს ნანი ბერაიას, შვილს ნინოს, რძალს თამარ არჩაიას, სიძეს ლევან ოჩიგავას, შვილიშვილებს ნიკოლოზს, გიორგის, მარიამსა და ილიას, დას ნანი ხარჩილავას ოჯახს კეთილშობილი, გულისხმიერი, ჰუმანური პიროვნების

რევაზ (როზი) ხარჩილავას

გარდაცვალების გამო.

ნათელში ამყოფოს უფალმა რევაზი და მისი ყველასათვის საყვარელი ვაჟიშვილი რეზიკო!

ნათესავები კუსუნა და გოჩა მზარელუები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სევილიის ტურნირი

სევილია-ინტერი 3:2

0:1 ლუკაკუ (5ჯ), 1:1, 2:1 დე იონგი (13, 33), 2:2 გოდინი (36), 3:2 ლუკაკუ (74სკ)

2002 წლიდან მოყოლებული, ესპანურმა კლუბებმა ევროტურნირებზე მოიგეს ყველა, თხუთმეტივე ფინალი, სადაც კი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ამ პერიოდში მადრიდის რეალმა სამჯერ იმარჯვა ჩემპიონთა ლიგაზე, ხოლო ბარსელონამ – 4-ჯერ. 2004 წელს ვალენსიამ უეფას თასი (ევროპის ლიგა) მოიგო, სევილიამ იგივე 5-ჯერ გააკეთა, მადრიდის ატლეტიკომ – 2-ჯერ.

ლა ლიგის წარმომადგენლებმა ევროთასებზე ბოლო ფინალები 2001 წელს წააგეს. მაშინ ვალენსია ჩემპიონთა ლიგაზე მიუნხენის ბაიერნთან დამარცხდა, ხოლო ალავესს უეფას თასის ფინალი ლივერპულმა მოუგო.

რაც შეეხება კონკრეტულად სევილიას: ნუ შეეცდებით, ამ გუნდს ევროპის ლიგის ფინალი მოუგოთ. ეს ანდალუზიური გუნდის ტურნირია. 6-ჯერ გავიდა სევილია ფინალში და ყველა მოიგო. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის სევილიის მწვრთნელი და ვინ არის მისი მეტოქე ფინალში.

კიოლნში ჩატარებული ფინალი კი ისეთი გამოდგა, როგორც დასკვნით მატჩს ეკადრება. გუნდები ერთმანეთისთვის ღირსეული მეტოქეები გამოდგნენ. განსაკუთრებით ფეერიული პირველი ტაიმი გამოდგა, როდესაც გუნდებმა 2-2 გოლი გაცვალეს. ჯერ რომელუ ლუკაკუმ გახსნა ანგარიში, მაგრამ ლუკ დე იონგმა გაათანაბრა, მერე კი სულაც წინ გაიყვანა სევილია. დიდხანს არც ანდალუსიების სიხარული გაგრძელდა და დიეგო გოდინმა ყველაფრის გადაწყვეტა მე-2 ტაიმს მიანდო.

შესვენების შემდეგ შეცდომას ფასი დაედო, ამიტომ გუნდები შედარებით ფრთხილები იყვნენ, მაგრამ ინტერი შეცდომას ვერ გაექცა. ბედის ირონიით, ისე მოხდა, რომ... როდესაც ლუკაკუმ პენალტი გაიტანა, თავადვე მოიპოვა, როდესაც დიეგო კარლოსი სიჩქარეში დაჯაბნა. სევილიის მე-3 გოლი კი დიეგო კარლოსის დარტყმის შემდეგ ლუკაკუმ საკუთარ კარში ჩაჭრა. არადა, ბურთი გადადიოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ბელგიელმა თავდამსხმელმა კარლოსის მიერ ეფექტურად შესრულებული დარტყმა უყურადღებოდ ვერ დატოვა და...

სწორედ ამ გოლმა მოუტანა სევილიას ევროპის ლიგის მეექვსე ტიტული.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუკ დე იონგი

თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში დასცინოდა სევილიის დაცვას რომელუ ლუკაკუ, მაგრამ მისი ერთი შეცდომა გუნდს ძვირად დაუჯდა, მატჩის საუკეთესომ კი თასი ასწია. ნიდერლანდელმა 2 გოლი გაიტანა ინტერის კარში და ორივე თავით.

ხულენ ლოპეტეგი:

– გამარჯვებას პუერტასა და რეიესს ვუძღვნით. და ვუძღვნით ყველას, ვისაც ჩვენი კლუბი უყვარს. ეს წარმატება ეძღვნება მათ და სევილიის ყველა იმ ქომაგს, რომლებიც ზეციდან გვეხმარებოდნენ. ეს თასი ყველასია! ფეხბურთელები დიდებულად გაისარჯნენ. მათ ქება ეკუთვნით გაწეული მუშაობისთვის, იმისთვის, რაც ამ ურთულეს წელიწადს გადაიტანეს. რომც ვერ მოგვეგო, მაინც დიდი გუნდი ვიქნებოდით, მაგრამ საბედნიეროდ, გავიმარჯვეთ. ბიჭებმა ურთულესი სეზონი გაიარეს და წარმატებით დააგვირგვინეს.

ანტონიო კონტე:

– რთული და დაბალანსებული თამაში იყო. მე-2 ტაიმში ერთ ეპიზოდს შეეძლო ყველაფრის გადაწყვეტა, რამდენიმე საგოლე შანსი გვქონდა და ბოლოს რომელუს უიღბლო ეპიზოდი იყო, ამის შემდეგ ყველაფერი რთული გახდა. სინანული გარკვეულ მომენტამდე მიდის, ჩემმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს გუნდის წინააღმდეგ, რომელიც მიჩვეულია ამ ტიპის მატჩებს, გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და ფინალი რამდენიმეჯერ ითამაშა. საბოლოოდ, მატჩის ბედზე გავლენა ამან იქონია. ბევრი ჩვენგანისთვის ეს პირველი გამოცდილება იყო, ბევრმა ახალგაზრდამ კარგი დოზით მიიღო ფასეული გამოცდილება ასეთ ტურნირებში თამაშების გასაგრძელებლად. ფინალში თამაში დიდი გამოცდილებაა...

დაპირისპირება პრეზიდენტთან? ახლა რამდენიმე დღე დავისვენებთ და შემდეგ ცივ გონებაზე შევხვდებით, ეს სწორი იქნება. სეზონს და ყველაფერს გავაანალიზებთ ძალიან მშვიდი გზით. არ ვარ დარწმუნებული, რომ მომავალ სეზონშიც ინტერის მწვრთნელი ვიქნები. ვეცდებით, ინტერის მომავალი დავგეგმოთ ჩემთან ერთად ან ჩემ გარეშე. მადლობას ვუხდი ყველას ამ შანსისთვის. ეს ღირდა.

შედეგები

22 აგვისტო
ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1

დიჟონი-ანჟე	0:1
ლილი-რენი	1:1

საფრანგეთი. ლიგა 2

ტულუზა-დიუნკერკი	0:1
ამიენი-ნანსი	1:0
აიაჩო-შატორუ	0:1
ვალანსიენი-პო	3:0
გენგამი-ნიორი	0:1
კლერმონი-კანი	0:0
ოსერი-სოშო	0:2
როდეზი-გრენობლი	1:0
შამბლი-პარიზი	0:3

ჩეხეთი. პირველი ლიგა

ურალი-კრასნოდარი	1:0
ხიმკი-ახმატი	1:2
არსენალი-დინამო	2:0
ზენიტი-ტამბოვი	4:1
როტორი-სოჭი	1:2
ცსკა-რუბინი	1:2

ბელგია. ა დივიზიონი

ვარეგემი-ბევერენი	4:1
ლეუვენი-შარლერუა	1:3
მეხელენი-სერკლი	2:3
ანტვერპენი-გენტი	1:0

შოტლანდია. პირველი ლიგა

მოზერველი-ჰამილტონი	0:1
რეინჯერსი-კილმანროკი	2:0
სტ.მირენი-როსი	1:1
დ.იუნაიტედი-სელტიკი	0:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-სლოვაცკო	1:2
პრჟიბრჟამი-ტეპლიცე	1:3
სიგმა-ლიბერეცი	1:0
ბრნო-სპარტა	1:4

პოლონეთი. ექსტრაკლასი

კრაკოვია-პოგონი	2:1
შლასკი-პიასტი	2:0
ჩენსტოხოვა-ლეგია	1:2

უკრაინა. პირველი ლიგა

დესნა-ზორია	3:1
ოლეკსანდრია-მარიუპოლი	4:1

შვედეთი. ალსვენსკა

სირიუსი-ჰამარბი	3:1
დიურგარდენი-გიოტებორგი	2:2

ნორვეგია. ელიტსერია

მიოლდე-ოდ გრელანდი	2:0
ბოდო გლიმდტი-სტარტი	6:0
ვალერენგა-სანდერფიორდი	2:1
კრისტიანსუნდი-სარპსბორგი	4:1
ალესუნდი-ჰაუგესუნდი	1:3
სტრომგოდსეტი-ვიკინგი	0:2
მიონდალენი-რუსენბორგი	0:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ტპს-ინტერი	1:0
ილვესი-ლახტი	3:1
კუუპიო-მარიეჰამნი	2:1
როვანიემი-ჰიკი	0:1

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 2. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი, პროფესორი; 3. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 4. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 5. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 12. უბანი ძველ თბილისში; 13. ღვინის, დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. არჩევითი ორგანო ქალაქის თვითმმართველობაში; 17. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 19. სახელმწიფო ევროპაში; 21. აბრეშუმის ჭიის თესლი; 23. წრის ნაწილი.

თარაზულად: 6. საფრანგეთის ჰიმნი; 7. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 8. ქართული ნაციონალური კერძი; 9. ტროპიკული ღერწმისგან დამზადებულ მასალაზე შესრულებული ეგვიპტური ხელნაწერი; 14. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 15. აფხაზეთის მთავართა საგვარეულო; 18. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული სილიკატური მასა; 20. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 22. არომატიზებული დასპირტული ღვინო; 24. ფულადი ჯილდო; 25. წითელი ფერის ნახევრად მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 26. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჭომა; 2. ფრეზა; 3. დაიმი; 5. შულერი; 6. ნაკაშიძე; 9. მუჯურეთული; 10. საიათნოვა; 11. ინფანტინო; 14. ერა; 16. სალაჰი; 18. იგლუ.

თარაზულად: 1. ჭორფლი; 4. აფშერონი; 7. ტეხასი; 8. მაკბეტი; 12. იჯაფარა; 13. ფერაძე; 15. საფარა; 17. უთო; 19. კრიპტოგრამა; 20. ციცქა; 21. ჯუღელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჭრიჭინა; 2. ალბორადა; 3. სტივიდორი; 4. ნანსენი; 5. რეტროგრადი; 10. კახასა; 11. ერისიონი; 12. ნესტანი; 13. ბომბორა; 16. ჰართფილდი; 17. პოლონეზი; 19. ისლანდია; 21. ცირკი; 23. ნაიკი.

თარაზულად: 6. ტროგლოდიტი; 7. შაჰნამე; 8. გიშერი; 9. სინოპეკი; 14. გორდონსი; 15. კუსტურიცა; 18. პენსი; 20. კობზარი; 22. ვანდომი; 24. მიოპია; 25. გლიპტიკა; 26. ჯაკუზი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0737

ევრო — 3.6257

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0388

100 რუსული რუბლი — 4.1282

ამინდის პროგნოზი 24 აგვისტოსათვის

ქეთევან კიკნაძე: „იმას, ვინც თავისი ქვეყნის წარსულს ივიწყებს, გამარჯვება და წარმატება არ უწერია“

ასე მიაჩნია მსახიობ ქეთევან კიკნაძეს და თავის მოსაზრებას არგუმენტირებულად ასაბუთებს:

– ქუთაისი – ეს ძველი ინტელიგენციის ბუდე. ჩვენი დროის ღირსშესანიშნავი წარმომადგენლები აქედან მოდიან. ჩამონათვალში არ შეიძლება გამოვტოვოთ ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან: პოეტი ოთარ მამფორია, მსახიობი იპოლიტე ხვიჩია, მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე, სარაჯიშვილები, რეჟისორი რეზო ჩხეიძე, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, დირიჟორი ევგენი მიქელაძე, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა ქართული ორკესტრი. ის ყველა ინსტრუმენტზე უკრავდა. მსოფლიოს ყველა კუთხიდან კითხულობდნენ და ჩამოდიოდნენ მსოფლიო კომპოზიტორები, რათა მოესმინათ მისთვის.

მინდა გიამბოთ გიორგი მიქელაძეზე, რომელიც დახვრიტა კოლჩალმა ციმბირში, ქალაქ ტომსკში. დახვრეტის წუთებში მან გადაარჩინა ახალგაზრდა ქალი, მასწავლებელი. მან ქალს გადაულაპარაკა, როდესაც დაიძახებენ, გადახტი ორმოში, მე შენ ხელს გკრავო. მართლაც ასე გადარჩა ეს ქალი, რომელმაც 60-იან წლებში ჩვენი ოჯახი მოინახულა. ამჟამად ტომსკში მისი სახელობის ქუჩა არსებობს, ხოლო მუზეუმში – მისი კუთხე.

ასე რომ, როდესაც ქუთაისზეა საუბარი, ნუ დაგავიწყდებათ ის ადამიანები მაინც, რომლებმაც თავი განირეს სამშობლოს წინაშე და ვალმოხდილი წავიდნენ ამქვეყნიდან.

ასევე ევგენი მიქელაძე, რომელიც ყველა წესის დაცვის გამო იქნა დახვრეტილი.

იმას, ვინც თავისი ქვეყნის წარსულს ივიწყებს, გამარჯვება და წარმატება არ უწერია.

კავანის ბენფიკაში ტრანსფერი ჩაიშალა

ურუგვაელი ფორვარდი ედისონ კავანი კვლავინდებურად უგუნდოდ არის და მისი ტრანსფერი ბენფიკაში ჩაიშალა.

ამის მიზეზი ის გახდა, რომ კავანიმ ზედმეტად მაღალი ხელფასი მოითხოვა და ბენფიკამ მას უარი უთხრა.

კავანის ივლისში პსჟ-სთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ის თავისუფალი აგენტია, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას. კავანის მადრიდის ატლეტიკოც ეპატიჟებოდა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ეს ტრანსფერიც ჩაიშალა.

ლაუტარო მარტინესი მანჩესტერ სიტისაც მოუნდა

ინტერის არგენტინელი ფორვარდი ლაუტარო მარტინესი მანჩესტერ სიტის ინტერესის სფეროშიც მოხვდა და მანჩესტერელები მზად არიან, მასში სოლიდური თანხა გადაიხადონ, თუმცა ზუსტი ციფრი არ სახელდება.

მარტინესის ყიდვა ბარსელონას სურდა, მაგრამ ინტერმა 130 მილიონი მოითხოვა და ამჟამად ბარსელონას ასეთი თანხის გადახდა არ შეუძლია.

მარტინესი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 აგვისტოსათვის

ვერძი – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **კურო** – ნერვები მოთოკეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. დიდი ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. **ტყუპები** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან სტაბილური ურთიერთობა ყალიბდება. ეს დღე საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი პერიოდია. დღის პირველ ნახევარში სასიამოვნო შეხვედრა გელით. საღამოს საკუთარი ქედმაღლობის გამო პრობლემები შეგექმნებათ. **ქალწული** – თავი აარიდეთ ინტრიგან და შურიან ადამიანებთან ურთიერთობას. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ღრიანკალი** – ილუზიებსა და ცდუნებას ნუ აჰყვებით. გულიდან განაგდეთ ყოველგვარი ბრაზი და ბოღმა. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **თხის რქა** – სულიერ სრულყოფასა და ზნეობრიობაზე იზრუნეთ. წვრილმანებს ნუ გამოედევნებით. **მერწყული** – ნერვებს გაუფრთხილდით. კონფლიქტი გარშემომყოფებთან სტრესსა და შფოთვას გამოიწვევს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **თევზები** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

კაცი ქალს უყურებს და ჩაილაპარაკებს:

– რა საშინელებაა!

– თქვენ ჯერ შიშველი არ გინახივართ!

●●●

ლუკაშენკო პუტინს ურეკავს და ეკითხება:

– ვლადიმიროვიჩ, ჩემი ხალხი აბუნტდა და როგორ მოვიქცე?

– ხელკეტებით დაშალე?

– დავშალე, მაგრამ უშედეგოდ.

– ციხეში ჩასვი?

– ჩავსვი, მაგრამ უშედეგოდ.

– სახელმწიფო მოხელეები შენ მხარდასაჭერად მიტინგზე გამოიყვანე?

– ჰო, მაგრამ უშედეგოდ.

– მაშინ, არ ვიცი, ჩემი ხალხი ჯერ მაგ დონემდე არ მისულა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, გუშინ ფეხბურთის მატჩს ვუყურებდი და მსაჯმა ფეხბურთელს ყვითელი ბარათის მაგივრად პრეზერვატივი უჩვენა...

– მერე?

– მერე, იმის შემდეგ თამაშის წესები აღარავის დაურღვევია.

●●●

მამა-შვილი გედების ტბას უყურებს. უცბად შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, ბალერინები სულ თითის წვერებზე რატომ ცეკვავენ?

– ეტყობა, გედებმა ბევრი მოსკლინტეს და ფეხების დასვრა არ უნდათ...

●●●

სამხედრო ნაწილის მეთაური მზარეულს ეკითხება:

– წვნიანში დაფნის ფოთოლს რატომ არ დებთ?

– არ ჭამენ, ბატონო პოლკოვნიკო.

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, რა ხდება სიკვდილის შემდეგ?

– საწოლში თეთრეულს გამოვცვლით და ახალ პაციენტს მოვათავსებთ.

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეკითხება:

– ქათამს როგორ ამზადებთ?

– როგორ და დაკვლის წინ მივალთ ქათამთან, გვერდით ჩამოვუჯდებით, ანეკდოტებს მოვუყვებით, კაი ხასიათზე დავაყენებთ და მერე ნელ-ნელა შევაპარებთ, რომ დასაკლავად მოემზადოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნოე სულაბერიძემ და ჯანეტ ქერდიყოშვილმა შვილი გამოაჩინეს

პროდიუსერი ნოე სულაბერიძე და მოდელი ჯანეტ ქერდიყოშვილი შვილს ანნა სულაბერიძეს აღარ მალავენ.

მისი ფოტოები აქამდე სოციალურ ქსელში არ იდებოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც წყვილმა ანნა მონათლა, პატარას ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა.

ანნას გამოჩენამ ათასობით ადამიანი აღაფრთოვანა. მან უამრავი მოწონება და კეთილი სურვილები დაიმსახურა.

ანნა ნოე სულაბერიძისთვის მესამე შვილია. მას პირველი და მეორე ქორწინებებიდან ბიჭი და გოგონა ჰყავს.

ხატია ბუნიათიშვილი ახალ ალბომზე მუშაობს

პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი „სონისთან“ ერთად ახალ ალბომზე მუშაობს.

„ლაბირინთი“ – ასე ეწოდება ალბომს, რომელსაც კლასიკური მუსიკის მოყვარული მსმენელი სულ მალე ისილავს.

ინფორმაცია პიანისტის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა და ახალი ალბომიდან პატარა მუსიკალური ნაწყვეტიც გამოქვეყნდა.

ბათუ დანელია 70 წლის გახდა

პოეტი ბათუ დანელია 70 წლის გახდა.

საიუბილეო მრგვალი თარიღი მას კოლეგამ ვასილ ბესელიამ მიულოცა:

– გამოჩენილ ქართველ პოეტს 70 წელი შეუსრულდა-მეთქი დავწერე და ის დრო გამახსენდა, ბათუ დანელიაზე ბევრად ნაკლებ პოეტებს ხელისგულზე რომ ატარებდნენ და მათ დაბადების დღეებს იუბილე რომ ერქვათ.

გამოჩენილიცაა, გამორჩეულიც და დიდიც... ვინ შემედავება ამაში!

70 რომ შემისრულდება, გადავაბიჯებ ეზოდან და ვივლი და ვივლი, სანამ არ დავიღლები, რა ვქნა, აბა, სახლში არავინ მყავს და სტუმარს არ ველიო...

მაშინ საქართველოს ტელევიზიის ერთი არხი მუშაობდა და არაფერი გამორჩებოდა, დღეს უთვალავი არხია და, დარწმუნებული ვარ, ბათუ არც ერთს არ გაახსენდება!

ზის სახლში ეს მარტოკაცი და სიტყვას ეჭიდება.

კიდევ კარგი, ჩვენ, მისმა მეგობრებმა, ვიცით მისი ფასი!

იცის საქართველომაც, მაგრამ, რა ქნას, არ ელექსება!

დიდხანს გევლოს, ჩემო ძმაო, „გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“!

მერე შენი ლექსები გააგრძელებენ მარადიულ სვლას!

გიორგი კეკელიძემ ახალქალაქის სკოლებში ბიბლიოთეკები გახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ ახალქალაქის სოფლების ოთხ სკოლაში ბიბლიოთეკები გახსნა:

– ეკვილიბრიუმობა – ახალქალაქის სოფლების ოთხი სკოლა. დილისკა პირველი და მეორე, პტენა და ჩუნჩხა. რვა წელია ასე დავდივართ საქართველოში. 1200 სოფლის კარზე დავაკაკუნეთ და ბიბლიოთეკა მოვაწყვეთ. აი, ახალქალაქში კი 43 სოფელი მოვიარეთ და დანარჩენსაც ვეწვევით.

გიორგი ნაზღაიძე კრიმინალური ამბების მომატებით შეშფოთებულია

მოდელი და წამყვანი გიორგი ნაზღაიძე საქართველოში კრიმინალური და ტრაგიკული ამბების მომატებით შეშფოთებულია:

– ბოლო დროს ძალიან მომრავლდა კრიმინალური და ტრაგიკული ამბები. ხალხი ისე იკლავს თავს და კლავს სხვას, ვითომ არაფერი.

არის მკვლელობები, სადაც მეც მაქვს კითხვები, მაგრამ მთავარი ამ ტრაგიკული ფაქტების გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ ადამიანი დაშორდა ღმერთს, აღარ ეშინია, აღარ სწამს ღმერთის და მგონია, ამიტომაც მომრავლდა ასეთი ფაქტები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბანგლადეშის დედაქალაქი; 2. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 3. წყალსა და წებოში გახსნილი სახატავი საღებავი; 5. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. პატარა სამხედრო საავადმყოფო; 9. ქართველი მშვილდოსანი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. სვანური ლირიკული სიმღერა; 11. ძველებური ცხენებშებმული მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 14. ბრიტანელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 18. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში.

თარაზულად: 1. მდინარე კიევში; 4. გონებასუსტი ადამიანი; 7. საქართველოში გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 8. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 12. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 13. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 15. ფრანგული პური; 17. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 19. მდინარე მადრიდში; 20. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 21. ისტორიული ქართული სამეფო აღმოსავლეთ საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა